გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№85 (1111) 29 – 30 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ყურადღება!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

30 ივლისს, დილის 10 საათიდან, ბათუმში, ხულოში, ჭედასა და შუახევში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჭედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხობისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

რაჭიმ გაძვირდა დენი 4 თეთრით

როგორ დათვალეს ელექტროენერგიის ახალი ტარიფი და გაძვირდება თუ არა დენი თბილისშიც

გვ. 3

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით მირცხულავასთან

ზაზა აბაშიძე: „ვფიქრობ, პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო“

რატომ დაუბრუნდა ხელნაწერთა ცენტრს კორნელი კეკელიძის სახელი და როდის გადავა ახალ შენობაში

გვ. 7

კავკასიის რეგიონში ვითარება დაიძაბა

გვ. 5

რა საფრთხე ემუქრება საქართველოს

ზურაბ ჟვანია სკანდალური საქმე

გვ. 4

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

რა ჩვენება მისცა სამედიცინო ექსპერტმა ლევან ჩაჩუამ, გაუკეთეს თუ არა რაუდ უსუპოვს ბიოზამირება და რატომ იტირა ძაძამიას მეგობარმა ქალმა

საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთი დამცველი გამოუჩნდა

გვ. 2

მიზანმიმართული ბრძოლა „ქართუსა“ და საქველმოქმედო ფონდ „აჭუს“ წინააღმდეგ

SAYALI LLC-მ და AHMC-მ ამერიკული საავადმყოფოს დასაფინანსებლად, OPIC-თან ხელშეკრულება გააფორმეს

„m² იპოდრომთან 2“-ში ბინების დაჯავშნა უკვე დაიწყო

m²

დეველოპერული კომპანია მომხმარებელს ახალ საკრედიტო პროდუქტს სთავაზობს ბინის შესაძენად, 1 წლამდე საშეღავათო პერიოდით

გვ. 9

საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთი დამცველი გამოუჩნდა

ნინო ბარბაქაძე

„ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ვეტო არის კიდევ ერთი შესაძლებლობა პარლამენტის წევრებისთვის, გადახედონ თავის გადაწყვეტილებას. პირველ რიგში, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისითაც კი, ის ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას, ვინაიდან არის უამრავი მუხლი, რომელიც შეიძლება წაიკითხოს სხვადასხვაგვარად. ეს სერიოზულ პრობლემას შექმნის სამომავლოდ. გარდა ამისა, იგი კონსტიტუციასთან არის შეუსაბამობაში. ასევე, შეუსაბამობაშია ასოცირების დღის წესრიგთან. კანონპროექტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ნათელია, რომ ამ კანონის მიღების მიზანია, რასაც არც ინიციატორები უარყოფენ, რომ მოხდეს ეროვნული ბანკის დასუსტება, ეროვნული ბანკის გახლეჩა, ასევე საქართველოს პრეზიდენტის როლის შემცირება როგორც კონსტიტუციის, ძალთა ბალანსის გარანტი“, — ეს განცხადება ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **გიორგი ქადაგიძემ** გააკეთა.

საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ გვასალიამ** განაცხადა, რომ კანონში შესული შენიშვნები საბანკო სექტორმა მოამზადა, ეროვნულ ბანკს კი კონკრეტული წინადადებები მათთვის არ შეუთავაზებია: **„ქადაგიძისგან მე შენიშვნა არ მომისმენია, გარდა იმისა, რომ ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს არ უნდა გამოეყოს. თვითონ იყო იმ სააგენტოს ხელმძღვანელი, რომელიც გამოიყო და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ გახდა, მერე შეიერთა. თვითონ როცა იყო სააგენტოს ხელმძღვანელი, რაიმეთი დაზარალდა? მაშინ საბანკო სექტორი არ დაზარალებულა? პრობლემა არ შეიქმნება თუ სწორად გაკეთდა ყველაფერი. უამრავ ქვეყანაშია მსგავსი პრაქტიკა, ცენტრალური ბანკიდან ზედამხედველობის სამსახური ამერიკაშია გამოყოფილი, სკანიდნავიის ქვეყნებში, ავსტრიაში, პოლონეთში, თურქეთში და ა.შ. ჩვენთან უფრო მკაცრი კრიტერიუმებია კანონში“.**

პრეზიდენტი, სავარაუდოდ, სრულად გამოიყენებს ათდღიან ვადას, რომელიც კანონის ხელმოსაწერად აქვს და საბოლოოდ, ასევე მოლოდინისამებრ, კანონს ვეტოს დაადებს. ის, რომ ქადაგიძის, პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის ლიდერების სურვილები და მოსაზრებები ბოლო დროს ძალიან ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, ახალი არაა. რეალურად კი...

პრეზიდენტი აპირებს, პარლამენტს ალტერნატიული კანონპროექტი შესთავაზოს და ეს მაშინ, როცა სწორედ ნაციონალური მოძრაობის წევრები ამბობდნენ, რომ არსებობს ალტერნატიული კანონპროექტი, თუმცა ეს კანონპროექტი მათ პარლამენტში არ შეუტანიათ. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პრეზიდენტი სწორედ ნაციონალების კანონპროექტს წარადგენს, რადგან ექსპერტთა ვარაუდით, გამორიცხულია, ათ დღეში ალტერნატიული კანონპროექტი მომზადდეს, ანუ იგი უკვე მზად უნდა იყოს, მზად კი ნაციონალებს აქვთ.

„ჩემი ინფორმაციით, პროცესში ჩართულნი არიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ გასაგები და მკაფიო წერილი მოიწერეს. დაველოდებით, რაზე ჩამოყალიბდება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, გაიზიარებს თუ არა მათ შენიშვნებს და თუ ეს შენიშვნები არ გაიზიარა, მაშინ ჩვენ ალტერნატიულ წინადადებას დავაყენებთ“, — ეს განცხადება **მიხეილ მაჭავარიანმა** 6 ივლისს გააკეთა, თუმცა პროექტი თვალით არავის უნახავს.

არადა, იმ კანონში, რომელსაც მარგველაშვილმა ვეტო უნდა დაადოს, საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციები გათვალისწინებულია და არსებობს მსგავსი საერთაშორისო პრაქტიკა;

ახლა ირკვევა, რომ გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული ბანკის კანონზე ვეტოს გამოყენების შესახებ ინფორმაცია ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკსაც გააცნო, თუმცა შეხვედრის შემდეგ ამ საკითხზე ღიად არ უსაუბრია. ევროპული საბჭოს პრეზიდენტისთვის ვეტოს გამოყენების საფუძველი გაუგებარი აღმოჩნდა და განაცხადა, რომ სისტემა, რომელიც საქართველოში ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურთან დაკავშირებით უნდა დაინერგოს, პოლონეთში ეფექტურად მუშაობს.

— კანონპროექტის დღეს არსებულ ვარიანტში საბანკო სექტორის მიერ მითითებული ხარვეზები გამოსწორებულია. მნიშვნელოვნად შეიცვალა თავად საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და სააგენტოს უფროსის წარდგენის და არჩევის წესი, კერძოდ, საბჭოს 5 წევრს წარადგენს მთავრობა და არა პარლამენტის ცალკეული ფრაქციები, რაც პოლიტიკური მოტივირების საშიშროებას ქმნიდა. ამასთან, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა, საბჭოს შემადგენლობას დაემატა კიდევ ერთი წევრი ეროვნული ბანკის საბჭოდან, რომელსაც თავად ეროვნული ბანკის საბჭო აირჩევს თავის შემადგენლობიდან. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, რომელიც ხარისხობრივად გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებისთვისაა დაწესებული.

„მთავარი პრობლემა არ არის საბანკო ზედამხედველობის ეროვნული ბანკიდან გამოსვლა, რადგან არის ქვეყნები, სადაც ინსტიტუციურად საბანკო ზედამხედველი, არათუ ეროვნულ ბანკთან არსებულ ფორმატშია დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, არამედ საერთოდ გამოსულია ცენტრალური ბანკიდან (პოლონეთი, ფინეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ლატვია, შვედეთი, დანია, ისლანდია, მალტა, მონტენეგრო, ნორვეგია, თურქეთი, იაპონია და ა.შ) არამედ ის, რომ ბევრი დებულება ფუნქციათა გამიჯვნის საკითხებში წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო და დუბლირების ელემენტებს ატარებდა. პრობლემური იყო სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტებისა და ბოლო რიგის კრედიტორის უფლებამოსილების განხორციელების საკითხი“, — განაცხადა საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ცუცქირიძემ.

უწმინდესი საქართველოში დაბრუნდა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გერმანიიდან საქართველოში დაბრუნდა, სადაც სამკურნალოდ იმყოფებოდა.

პატრიარქს აეროპორტში სასულიერო პირები დახვდნენ, რის შემდეგაც უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლა, სადაც ილია მეორემ მრევლს მიმართა: **„ღვთის წყალობით და თქვენი ლოცვა-კურთხევით მშვიდობით დავბრუნდი გერმანიიდან. ექიმებმა ჩაატარეს მკურნალობა. ძალიან რთული მდგომარეობა იყო გულზე. მადლობა უფალს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ახლა მოვემზადოთ ილიაობისთვის. დალოცვილი იყავით, გახარებული იყავით, თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ“.**

„პირველი“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ს გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სფეროში ახალი შეთანხმება გაფორმდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ და აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს სამართლებრივმა ატაშე კესლინ კანინგმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სფეროში ახალ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიზნების მისაღწევად მხარეთა შორის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს, რაც მოიცავს ბრალდებულისა და დამნაშავეების გამოვლენას, დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო მონაცემების გაცვლას, დაკავებას, დაპატიმრებას, გათავისუფლებას საქმის სასამართლოში განხილვამდე, სისხლისსამართლებრივ დევნას, განაჩენის გამოტანას, ზედამხედველობას და რეაბილიტაციას, ასევე ტერორიზმის წინაღმდეგ ბრძოლას, დანაშაულის პრევენციას და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით თანამშრომლობას.

„ვერსიანიუსი“

დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ბრალდებით მოქალაქე გივი ქ. დააკავეს

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ბრალდებით, მოქალაქე გივი ქ. დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, გივი ქ. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის სახელით, მოქალაქეს დაჰპირდა თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2734 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საჯარო აუქციონის წესით შეძენაში დახმარებას, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით, მოითხოვა და აიღო 13 000 აშშ დოლარი. გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„პირველი“

ვერსიანიუსი

ჟურნალისტი ნინო შუბლაძე ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი იქნება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს მრჩევლად ჟურნალისტი ნინო შუბლაძე ინიშნება.

ნინო შუბლაძე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის საკითხების მიმართულებით იმუშავებს. ჯანდაცვის სამინისტროში ინფორმაცია დაადასტურეს.

ნინო შუბლაძე წლების განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მუშაობდა, ხელმძღვანელობდა საინფორმაციო სამსახურს, იყო გენერალური დირექტორის მოადგილე. მან არხი გასულ წელს საკუთარი სურვილით დატოვა.

ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს თამარ ბოდოკია ხელმძღვანელობდა.

„ინტერპრესნიუსი“

„უფრო საინტერესოა, რა დოკუმენტს მიიღებს ნატო და არა ის, რას გადაწყვეტს რუსეთი“

საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, მისთვის ახლა რუსეთის დოქტრინაზე მეტად, საინტერესოა ის გადაწყვეტილება, რასაც ნატო დეკემბრის მინისტერიალზე მიიღებს.

როგორც თინა ხიდაშელმა აღნიშნა, ახლა მნიშვნელოვანია, როგორ უპასუხებს დასავლეთი რუსეთის აღნიშნულ ქმედებას: **„ჩემთვის, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის, გაცილებით საინტერესოა, დეკემბრის მინისტერიალზე რა დოკუმენტს მიიღებს ნატო, რომელიც არის პასუხი ჩვენს გამოწვევებზე და არა ის, რა გადაწყვეტილებებს იღებს რუსეთი. რუსეთის მოქმედებები უკვე ძალიან მარტივად გათვლადი და პროგნოზირებადია. ჩვენ გვჭირდება ასეთივე, თუმცა, ამ შემთხვევაში პოზიტიური, გასაგები და ნათელი დღის წესრიგი ჩვენი პარტნიორებისგან“.**

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ გაძვირდა დენი 4 თეთრამდე და რატომაა აუცილებელი ჰიდრორესურსების განვითარება

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით მირცხულავასთან

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი), „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნა დააკმაყოფილა და 1 აგვისტოდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, დენის 4 თეთრამდე გაძვირების გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ტარიფის გადახედვის მოთხოვნით, კომისიას უკვე მიმართა ს/ს „თელასმაც“ და სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, ან ნოემბრის დასაწყისში (კომისიას განსახილველად 150-დღიანი ვადა აქვს), გაირკვევა, გაძვირდება თუ არა დენიც თბილისში. ამ დღეებში, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ იმ სტრატეგიული ობიექტების ნუსხა გამოაქვეყნა, რომლებსაც საქართველოში რუსეთი ფლობს. იმის გამო, რომ ახლა აქტუალური დენის გაძვირებაა, ამ ჩამონათვალში, მხოლოდ ენერგოობიექტებზე შევჩერდებით. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან შეთანხმებით, ენგურჰესის ერთობლივ მართვაზე იღებს გადაწყვეტილებას; რუსული სახელმწიფო კომპანიების მფლობელობაში არსებული „ინტერ რაო“ საქართველოში ფლობს ს/ს „თელასს“, შპს „მტკვარი ენერგეტიკას“, „ხრამჰესი 1“-სა და „ხრამჰესი 2“-ს, პირველ და მეორე ენერგობლოკებს (ყოფილი მე-9 და მე-10 ენერგობლოკები); 2011 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, დარიალჰესსა და ლარსიჰესშიც რუსული კვალია, შილდაჰესი რუსეთს 2012 წელს გადაეცა, ხოლო ალგეთიჰესი, ავანიჰესი და სკურდიდიჰესი — 2014 წელს.

„ვერსიის“ ინფორმაციით, „ხრამჰესი 1“ და „ხრამჰესი 2“, რუსულ „ინტერ რაოზე“ 2009 წელს, ჯამში, 104 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ვიდრე რუსეთს გადაეცემოდა, ორივე ჰესზე გამომუშავებული 1 კვტ/სთ ელექტროენერგია, დაახლოებით, 1.8 თეთრი ღირდა, ხოლო 104 მილიონი დოლარი საპრივატიზაციო თანხის გადახდის შემდეგ, ამ ჰესებზე გამომუშავებული დენის ფასი 10.8 თეთრამდე გაიზარდა... რატომ გაძვირდა დენის ტარიფი 4 თეთრამდე? არის თუ არა სემეკის ეს გადაწყვეტილება სიგნალი ინვესტორებისთვის? მოჰყვება თუ არა დენის გაძვირებას ბუნებრივი აირის ფასის ზრდა? „ვერსიას“ ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, პროფესორი დავით მირცხულავა ესაუბრება.

— ბატონო დავით, დენის ტარიფი მაინცდამაინც 4 თეთრამდე რატომ გაძვირდა?

— ტარიფის დათვლა არც ისე რთულია. ლარის კურსის გაუფასურებამდე, ტარიფი გათვლილი იყო იმ მონაცემებით, როდესაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში, 1.73 იყო. ლარის გაუარესების შემდეგ, დენის ტარიფი რომ არ შეცვლილიყო, თბოელექტროსადგურებზე დენის გამომუშავება დაახლოებით, 280 მილიონ კვტ/სთ-მდე შემცირდებოდა, რაც ნიშნავს, რომ მარტსა და აპრილში, საჭირო მოცულობის ბუნებრივი აირის უქონლობის გამო, თბოსადგურები გაჩერდებოდნენ. თბოსადგურებზე გამომუშავებული დენის გარდა, იმპორტიც იგულისხმება. ისიც უნდა შემცირებულიყო და ჯამში, იმპორტისა და თბოსადგურების დეფიციტი 500 მილიონ კვტ/სთ-მდე გვექნებოდა. ამ პერიოდში, იმპორტირებული დენის წილი 200 მილიონი კვტ/სთ-ია და რეალურად, ძალიან დიდი დეფიციტი გვექნებოდა. არაერთხელ მითქვამს, რომ დენის გამანაწილებელი კომპანიები მონოპოლისტები არიან, მათი რეფორმირება აუცილებელია და რაც სწრაფად დაიწყება, უკეთესია. ამას ევროპასთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაც მოითხოვს. მონოპოლური სტრუქტურებიდან, თბოსადგურებზე გამომუშავებული ენერგიის წარმოებასა და იმპორტსაც „ენერგო-პრო ჯორჯია“ ახორციელებს და სწორედ აქ გაჩნდა დეფიციტი. ეს დეფიციტი როგორღაც უნდა შეივსოს, რათა ქვეყანამ დაბალანსებულად გაიაროს ზამთარი. საუბარია ზამთრის ენერგიაზე, რომელიც ყველაზე ძვირია. რატომ გაძვირდა ტარიფი ახლა? ბალანსს წლების მიხედვით რომ გადავხედოთ, საქართველოში თბოსადგურები აგვისტოშივე უნდა ავამუშაბოთ, რათა ზამთრის რთულ პერიოდში, წყლის მარაგები შევინარჩუნოთ. ცალკეული ექსპერტები აცხადებენ, რომ ტარიფში მეტი რესურსია და 4 თეთრამდე არ უნდა გაძვირებულიყოო. თუ მათ მიაჩნიათ, რომ რეალურ ციფრებზე მიუწვდებათ ხელი, შეუძლიათ, სასამართლოს მიმართონ და სემეკის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ. მივესალმები, თუ გამოჩნდებიან ექსპერტები, რომლებიც რეალურად დაასაბუთებენ, რომ ტარიფი არ უნდა გაზრდილიყო.

— ანუ, თქვენი გათვლით, 4 თეთრამდე უნდა გაზრდილიყო?

— დიახ და ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ ვთქვი, რომ ტარიფის ზრდას სწორედ ამ დიაპაზონში — 3.75-დან 4 თეთრამდე ველოდი. მე რომ ტარიფში ის ნიშა მენახა, რომელიც არ უნდა გადახდილიყო, ცხადია, ამას ხმამაღლა ვიტყოდი და სასამართლოსაც მივმართავდი. ჯერ კიდევ 2012 წლამდე ვამბობდი, რომ მაშინ არსებულ დენის ტარიფში ნამდვილად არსებობდა ნიშა, რომელიც უნდა გამოთავისუფლებულიყო და შესაბამისი გათვლებიც მქონდა. ახლა ასეთი ნიშა მე ვერ დავინახე. სამწუხაროდ, ტარიფის ზრდა ლარის კურსის ცვლილებას მოჰყვა, რაც უმძიმესი გადაწყვეტილებაა. თუმცა მთავრობის განცხადება, რომ სოციალურად დაუცველი აბონენტების სუბსიდირებას განახორციელებს, სწორია. ზოგადად, ყოველგვარი სუბსიდირების წინააღმდეგი ვარ, რადგან საბაზრო ეკონომიკა ასეთ მოვლენას არ ცნობს, მაგრამ როდესაც ქვეყანაში ამდენი სოციალურად გაჭირვებულია, მათთვის ტარიფის ტვირთის შემსუბუქება მნიშვნელოვანია. კარგია, რომ მთავრობამ საყოველთაო კომპენსაციაზე უარი თქვა.

— მთლიანობაში, ქვეყნის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგეტიკაში, თბოსადგურებზე გამომუშავებული ენერგიის წილი რამდენია?

— 80%-მდეა ჰიდროელექტროსადგურების წილი, რადგან საქართველო ჰიდროენერგეტიკის ქვეყანაა. თუმცა ზამთარში, თბოსადგურები დომინანტურია, ამიტომ ამ პერიოდში, ჯამურ გენერაციაში, თბოსადგურების წილი 48%-მდე ადის. თბოსადგურები გაზზე მუშაობენ. დენის იმპორტს კი ძირითადად რუსეთიდან ახორციელებენ, სადაც ასევე დიდი პრობლემებია. სწორედ ამიტომ უნდა განვითარდეს ჩვენი ჰიდროენერგეტიკა და აშკარაა, ეს აუცილებელია!

— მაშინ რატომ აკეთებს სახელმწიფო აქცენტს თბოსადგურების მშენებლობაზე?

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან 2012 წლიდან ბევრი ჰიდროელექტროსადგური შევიდა მწყობრში, მათ შორის, ფარავანჰესი, ლარსიჰესი, სექტემბრიდან დარიალჰესიც ამოქმედდება. უამრავი ჰიდროპროექტი ხორციელდება, მაგრამ ენერგეტიკისთვის ყველაზე სტრატეგიულად საჭირო იმ პროექტების განვითარებაც აუცილებელია და პირველ რიგში, ხუდონჰესს, ნამახვანჰესს ვგულისხმობ, რომელთაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგეტიკული სტაბილურობის თვალსაზრისით, ალტერნატივა არ აქვს. ხუდონჰესი, დამატებით ნახევარ მილიარდამდე კვტ/სთ-ის გამომუშავების საშუალებას მისცემს ენგურჰესს, ანუ უიაფეს ენერგეტიკულ წყაროს, ნახევარ მილიარდსაც დაუმატებს და ეს სწორედ ის დეფიციტია ზამთრის პერიოდში, რაზეც უკვე გესაუბრეთ. ჯამში, ამ ჰესების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნას ტარიფის ზრდაზე. თუ ამ პროექტებს განვახორციელებთ, პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქართველოს ეკონომიკა, რადგან ჰიდრორესურსების განვითარება უამრავ სამუშაო ადგილს ქმნის, დასაქმებული ადამიანების შემოსავალს ზრდის, რაც ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. თუ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, ჰიდრორესურსების პოტენციალის ათვისება აუცილებელია. თუმცა ამასთან, კარგია, რომ თბოსადგურებიც შენდება. კომბინირებული თბოსადგურის ეფექტურობა, რომელიც ახლა შედის მწყობრში, 54%-ია, რაც უკვე არსებული თბოსადგურების დაახლოებით 30%-იან ეფექტურობას საგრძნობლად აღემატება. ეს ნიშნავს, რომ იგივე ოდენობის ბუნებრივი აირის საშუალებით, ახალი თბოსადგური 24%-ით მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე ის სადგურები, რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. რა თქმა უნდა, ჰიდროპოტენციალი უნდა ავითვისოთ, მაგრამ თბოსადგურებიც უნდა ავაშენოთ. უმძიმესი ნაბიჯია ტარიფის გაძვირება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რეალობაა. საქართველოს ენერგეტიკულად დამოკიდებულების ხარისხი 70%-მდეა, რაც ნიშნავს, რომ საბაზრო ფასებისა და ვალუტის კურსის ცვლილებას, ტარიფის რყევები ყოველთვის მოჰყვება.

— თუ ქვეყანაში ჰიდრორესურსები განვითარდება და ჰესები აშენდება, ენერგომატარებლების 70%-იანი იმპორტი შემცირდება?

— რა თქმა უნდა! როდესაც სტრატეგიულ პროექტებზე — ხუდონსა და ნამახვანზე ვსაუბრობთ, ან სხვა ჰიდროპროექტებზე, ყველაზე მთავარი ის არის, რომ მათი საშუალებით, ზამთრის ენერგიას მივიღებთ. თავის მხრივ, ზამთრის ენერგია, იმპორტირებულ დენსა და გაზის წვის შედეგად მიღებულ ენერგიაზე დამოკიდებულებას შეამცირებს. ამიტომ ჰიდრორესურსების განვითარებას ალტერნატივა არ აქვს! ხშირად ამბობენ, ჰესებს იმიტომ ვაშენებთ, რომ თურქეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ელექტროენერგიის ექსპორტი განვახორციელოთ. ნორვეგიამ, თავისი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი ისე აითვისა, რომ სუფთა ენერგიის ექსპორტს დანიასა და გერმანიაში ახორციელებს. მეტიც, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, ნორვეგია დაახლოებით, 600 კილომეტრიანი წყალქვეშა სადენით უკავშირდება ევროპის ქვეყნებს. ამ პროექტის განხორციელება საქართველოშიც შესაძლებელია, მაგალითად, წარმოვიდგინოთ რომ შავ ზღვაში წყალქვეშა კაბელს გავიყვანთ და რუმინეთს დავუკავშირდებით, რაა ამაში ცუდი? გადახედეთ ევროპაში არსებულ ტარიფებს და მიხვდებით, რამხელა მოგებას მოგვიტანს ასეთი პროექტი. 600-კილომეტრიანი წყალქვეშა კაბელის მშენებლობა 2008 წელს დაასრულა ნორვეგიამ და მაშინ ეს პროექტი 600 მილიონი ევრო დაუჯდა. ვფიქრობ, იგივე თანხებით შეგვიძლია რუმინეთს და იქიდან კი ევროპის ქვეყნების ენერგოსისტემასაც დავუკავშირდეთ. რთული პროექტია და შესაძლოა ზოგს უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ რატომაც არა? შესაბამისად, თურქეთს, რუსეთს, ევროპულ ქვეყნებს თუ სომხეთს მივაწოდებთ ელექტროენერგიას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შევუწყობთ ხელს.

— დენის ტარიფი ზამთრის დეფიციტის გამო ძვირდება. არ შეიძლებოდა, ზამთრის მოხმარების დასაბალანსებლად, ზაფხულში ელექტროენერგიის ექსპორტისგან თავი შეგვეკავებინა?

— არა, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. საქართველოს ძირითად მდინარეზე წყალდიდობის პერიოდი მაისიდან იწყება, ასეა ძირითად სადგურზე — ენგურჰესზე, რომელსაც საექსპორტო პოტენციალი აქვს. ენგურჰესი, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემის ნახევარია, ჯამში, 4 მილიარდ კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ვარდნილჰესთან ერთად, მაგრამ დღეს მისი საექსპორტო პოტენციალი მხოლოდ 200 მილიონი კვტ/სთ-ია. ცნობილია, რომ ზამთრის პერიოდში, დაახლოებით, 700-800 მილიონ კვტ/სთ ენერგიის იმპორტს ვახორციელებთ და აქ აშკარა დისბალანსია.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

სსს-მ ბუპრენორფინის შემცველი 52 აბი ამოიღო

(საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის 4-ე „ა“ ქვეპუნქტით), ხოლო დავით ზ-ს მიმართ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ყოფილი სამედიცინო ექსპერტის, ლევან ჩაჩუას ჩვენება

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

გაუკეთეს თუ არა რაუდ უსუპოვს ბალზამირება და რაფომ იფირა ძაძამიას მეგობარმა ქალმა სასამართლო პროცესზე

ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი წევრების, კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო — ოლიმპიური თამაშების გამო აღმაშენებლის ხეივანზე მოძრაობა ცალმხრივი იყო და სასამართლომდე მისვლა გაჭირდა. დაგვიანებით მოსულმა მოსამართლე ეკა არეშიძემ მოიბოდიშა და განაცხადა, რომ მისი დაგვიანების მიზეზიც გზების გადაკეტვა იყო.

28 ივლისს, სასამართლო პროცესზე ბრალდების სამი მოწმე დაიკითხა: სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ლევან ჩაჩუა, მიხეილ ძაძამიას მეგობარი გოგონა ეკა კოპაძე, რომელიც ჟვანიას გარდაცვალების დღეს, ძაძამიასთან ერთად რესტორანში იმყოფებოდა და კრიმინალური სამსახურის ყოფილი უფროსი რამაზ თურმანიძე, რომელიც ჟვანიას გაკვეთის პროცესის დროს ფოტოებს იღებდა.

დაცვის მხარე, როგორც ყოველთვის სრული შემადგენლობით იყო. პროკურორ რევაზ ნადოის მოვალეობას კი, ლევან ბაჩიაშვილი ასრულებდა. თორმეტივე ნაფიცმსაჯული ადგილზე გახლდათ, დარბაზი სავსე იყო ჟურნალისტებით და დამსწრე საზოგადოებით.

პირველი მოწმე ექსპერტი ლევან ჩაჩუა იყო. დარბაზში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა. პროკურორის შეკითხვებს ემოციურად პასუხობდა, ღელავდა. 2014 წლის 20 მარტს ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით დააკავეს. პროკურატურა მას სამსახურეობრივ გულგრილობას ედავებოდა და ირწმუნებოდა, რომ ჟვანიას გაკვეთისას, მან სრულყოფილად არ აღწერა გარდაცვლილი პრემიერის სხეულზე ასახული დაზიანებები, თუმცა მისი ბრალი არ დამტკიცდა და 8 თვის შემდეგ, ათი ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ჩაჩუას დაკითხვა პროკურორმა დაიწყო. შეკითხვაზე, რამ განაპირობა ჟვანიას გარდაცვალება, **ლევან ჩაჩუამ** განაცხადა, რომ პრემიერი უდავოდ გაზით გარდაიცვალა: **„მე ჩემ მიერ გაკეთებულ დასკვნაზე პასუხს ვაგებ არამარტო კანონის წინაშე, არამედ საქართველოს ისტორიის წინაშე, ჟვანიას ოჯახის წინაშე, მისი დედის, მეუღლის წინაშე. მზად ვარ ყველა მათგანს სათითაოდ შევხვდე და ყველაფერი ავუხსნა. პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ, არც არავის დავმალივარ. ფაქტი, თითქოს გარდაცვლილი პრემიერის ოჯახის წევრებს ჩემთან შეხვედრა სურდათ და მე არ შევხვდი, სიმართლე არ არის. არ ვიცი, ვისი მეშვეობით ცდილობდნენ ჩემთან დაკავშირებას, მაგრამ უარი არასოდეს მითქვამს“.**

ექსპერტმა ყველა იმ დეტალზე ისაუბრა, რომელიც საზოგადოების მხრიდან დღემდე განხილვის საგანი იყო. მათ შორის მუცლის არეში აღმოჩენილ მოხარშულ ძეხვზე, სიგარეტსა და იმ დაზიანებებზეც, რომლებიც „ჰაკიმ ფაშას“ მიერ გავრცელებულ ვიდეოფირზე იყო ასახული: **„ცალსახად ვამბობ, რომ ჟვანია გაზით მოიწამლა. რაც შეეხება დაზიანებებს, ტუჩის არეში მას ბლაგვი საგნის ზემოქმედება აღენიშნებოდა. დაზიანება მარცხენა მხარეს ლორწოვან გარსამდე მდებარეობდა. იმ პერიოდში, როდესაც ეს დაზიანება მიიღო, ჟვანია უკვე გარდაცვლილი იყო. საკუთარი კბილებით ის ამ დაზიანებას ვერ მიიყენებდა. ეს კობა ხარშილაძის ხელოვნური სუნთქვის შედეგად მოხდა. სხვა დაზიანება მას არ ჰქონია. რომ ჰქონოდა, როგორ გგონიათ, მოგატყუებდით? რაიმე ნაჭდევი რომ ჰქონოდა და სულ ასი კაცისგან რომ მქონოდა ბრძანება, მოვახერხებდი დამემალა? დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თავის ქალაზე მას არავითარი ზემოქმედების ნიშნები არ ჰქონდა. ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების შემდეგ ჩატარდა ქიმიური გამოკვლევა. არავითარი მოწამლული ნივთიერება იქ არ დაფიქსირდა. კუჭის შიგთავსი დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი. გაკვეთის შედეგად დაფიქსირდა მოხარშული ძეხვის ნაწილები. უსუპოვის კუჭში დაახლოებით 500-500 მილილიტრის ოდენობის, ჟვანიას კუჭში კი შედარებით მეტი — 700-800 მილილიტრი. ფილტვების გამოკვლევისას დადგინდა, რომ მწეველი იყო და მწეველის სტაჟი ჰქონდა. ეწეოდა თუ არა ის იმ მომენტში, ამას ვერ გეტყვით“.**

პროკურორმა ჩაჩუას ჟვანიას გაკვეთის პროცესის დეტალურად გახსენება სთხოვა, შემდეგ კი უსუპოვის ბალზამირების საკითხსაც შეეხო, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. ჩაჩუამ განაცხადა, რომ როგორც ახსოვს, უსუპოვს ბალზამირება ნამდვილად ჩაუტარდა. პროკურორმა მოგვიანებით ისიც კითხა, რაზე იყო დაფუძნებული მოლების ნაამბობი, რომლის თანახმად, გარდაცვლილი უსუპოვის მკერდიდან სითხე გამოვიდა.

— მოლებმა თქვეს, რომ უსუპოვს მკერდზე ასანთის ღერის ოდენა ნაჭდევი ჰქონდა და იქიდან სითხე გამოუვიდა.

— სხეულიდან ან სისხლი უნდა გამოსულიყო, ან სითხე. როგორც ჩემმა სანიტარმა თქვა, ის ნაჭდევი, რომელიც ბალზამირების შემდეგ რჩებოდა, სწორედ ასანთის ღერის სისქის იყო.

— კატეგორიული იქნებოდით და იტყოდით, რომ ეს სითხე იყო?

— არა, კატეგორიული ვერ ვიქნებოდი. ამას დიდი ალბათობით ვამბობ, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც საქმეშია.

ჩაჩუას მიერ გაჟღერებული ინფორმაცია გარდაცვლილი რაულ უსუპოვის ბალზამირებასთან დაკავშირებით, მესამე მოწმემ, კრიმინალური სამსახურის უფროსმა **რამაზ თურმანიძემ** სადავო გახადა. მან განაცხადა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჟვანიას ბალზამირება ჩაუტარდა, აი, რაც შეეხება უსუპოვს, კონკრეტულ ფაქტს ვერ ვიხსენებ, თუმცა მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, აუცილებლად გადავიღებდიო: **„ბალზამირების დროს ჟვანიას სხეულში დიდი შპრიცით რაღაც სითხე შეუშვეს. იღლიებში, მუცლის ორგანოებში... გვამი ამ დროს გახსნილი იყო. როდესაც პროცედურა დამთავრდა, გაწმინდეს და ჩააცვეს. უსუპოვის ბალზამირებას არ დავსწრებივარ. ისიც გაკვეთეს, ტანსაცმელი რომ შემოიტანეს, მახსოვს, მაგრამ ასევე მახსოვს ერთი ფაქტი — თქვეს, მუსულმანია და ბალზამირება არ კეთდებაო. ჟვანიას გაკვეთა დაახლოებით 5 საათი გრძელდებოდა. უსუპოვის — ერთი საათი. ეს იმიტომ მახსოვს, რომ მაშინ ძალიან დავიღალეთ, გადაღება უწყვეტ რეჟიმში გრძელდებოდა. დეტალურად ვიღებდით. სისხლის კვალი არსად მახსოვს. საეჭვოც არაფერი შემინიშნავს“.**

28 ივლისს, სასამართლო პროცესზე, მიხეილ ძაძამიას მეგობარი გოგონა **ეკა კოპაძეც** დაიკითხა. ჟვანიას გარდაცვალების დღეს მისი ყოფილი დაცვის წევრი მიხეილ ძაძამია რესტორან „მოსკოვში“ სწორედ მასთან ერთად იმყოფებოდა. კოპაძის გამოსვლა სასამართლო დარბაზში განსაკუთრებით ემოციური იყო. პროცესის მიმდინარეობისას მან მისი და ძაძამიას პირადი ცხოვრება გაიხსენა და რამდენჯერმე ატირდა კიდეც: **„მიშა წლების წინ რესტორანში გავიცანი. ეს ადამიანი ძალიან მიყვარდა. მასთან ერთად ყოფნა მინდოდა. მიღებული სიძეც იყო ჩვენს ოჯახში, მაგრამ მერე გავიდე, ვიღაც ქალი ყავდა ჩემს გარდა, რომელიც დღეს მისი მეუღლეა. სამი წლის განმავლობაში ვმეგობრობდით, მაგრამ ჟვანია რომ გარდაიცვალა, ისე მოხდა, რომ წავიდა ჩემი ცხოვრებიდან. მიშასგან ორსულად ვიყავი და აბორტის გაკეთებაც მომიწია“.**

კოპაძის გამოსვლამ დარბაზში მყოფებზე ძალიან იმოქმედა. სხდომაზე პროცესის დახურვის საკითხიც დადგა. ქალური სოლიდარობა დარბაზში აშკარად იგრძნობოდა, მით უმეტეს, ნაფიცმსაჯულთა შორისაც, ქალები სჭარბობენ. რომ არა დაცვის მხარის უხერხული შეკითხვა „სასიყვარულო სამკუთხედის“ რეალურ ისტორიას ალბათ ვერავინ გაიგებდა. დაცვის მხარის შეკითხვაზე, სად გაიცნო კოპაძემ ძაძამია, რესტორანში თუ საროსკიპოში, კოპაძემ ტირილით უპასუხა — „საროსკიპოში“.

კოპაძე საბურთალოს ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაშიც ნამყოფია. ძაძამიასგან ჰქონდა გაგებული, რომ ამ ბინაში, პრემიერი შეხვედრებს მართავდა, თუმცა არ იცის, კონკრეტულად რა შეხვედრებს ან ვისთან. ჟვანიას გარდაცვალების წინა დღეს, კოპაძე ძაძამიასთან ერთად იყო რესტორანში, თუმცა ამბობს, რომ საეჭვო და უცნაური არაფერი შეუნიშნავს: **„იმ საღამოს რესტორან „მოსკოვში“ ვიყავით. მგონი, დაბადების დღე იყო, ზუსტად აღარ მახსოვს. მიშას დაურეკეს და ის ცოტა ხნით გავიდა. ნახევარ საათში, შეიძლება ნაკლებ დროშიც, დაბრუნდა. საეჭვო არაფერი შემინიშნავს. შემდეგ პავლოვზე, საბილიარდოში წავედით. ასე 12-1 საათისკენ სახლში მიმიყვანა. თვითონ სად მიდიოდა, არ უთქვამს...“**

კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას მორიგი სასამართლო პროცესი, საქალაქო სასამართლოში 29 ივლისს, 11:00 საათზე გაიმართება.

რატომ გაძვირდა დენი 4 თეთრამდე და რატომაა აუცილებელი ჰიდრორესურსების განვითარება

მე-3 გვერდიდან

— ეკონომიკის ექსპერტის თემურ ბასილიას განცხადებით, ენერგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია აფხაზეთში დაახლოებით 3-4 თეთრის ეკვივალენტი ყოფილა, საქართველოში კი დენის ტარიფი თითქმის 17 თეთრამდე გაიზარდა. ბატონი თემური ლოგიკურ კითხვას სვამს — ასეთ პირობებში, როგორ უნდა დავაინტერესოთ აფხაზეთი, რომ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს?

— ბატონი თემური ბრწყინვალე ეკონომისტია და ასეთი მნიშვნელოვანი დეტალები კარგად იცის. ენგურჰესის სადგური აფხაზეთის ტერიტორიაზეა, წყალსაცავი და სადერივაციო გვირაბის ნაწილი — ჩვენს მხარეზე. ფაქტობრივად, საქართველოს ყველაზე მძლავრი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონე სადგური აფხაზეთშია, სადაც ჩემი ინფორმაციით, თანხა საერთოდ არ გროვდება. ენგურჰესს არასდროს მიუღია შემოსავალი აფხაზეთიდან. რეალურად, აფხაზები უფასოდ იღებენ ელექტროენერგიას, რაც უზარმაზარი პრობლემაა. 90-იანი წლებიდან დღემდე, აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება თითქმის 60%-ით გაიზარდა, მაგრამ მათ დენი უფასოდ მიეწოდებათ, რაც საქართველოს ენერგოსისტემას უმძიმეს ტვირთად აწევს. სამწუხაროდ, ესაა რეალობა, გალის რაიონი დღეს ოკუპირებული ტერიტორიაა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— არის თუ არა ტარიფის გაძვირება სიგნალი ინვესტორებისთვის, რადგან ენერგეტიკაში, რომელიც ინვესტიციების სიუხვით გამოირჩეოდა, შარშან და წელსაც ინვესტიციები შემცირდა?

— ენერგეტიკაში ინვესტიციების სიუხვე ყოველთვის არ ყოფილა, მხოლოდ ბოლო წლებში გაიზარდა. 2000 წლიდან 2012 წლამდე, ერთადერთი, ხადორის ჰიდროელექტროსადგური აშენდა, რომელიც 2003 წელს დასრულდა და ექსპლოატაციაში 2004 წლის თებერვალში გაუშვეს. ფაქტობრივად, ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე დასრულებული პროექტი ჩაიბარა. მხოლოდ 2012 წლის შემდეგ დაიწყო ინტენსიური მშენებლობა ენერგეტიკაში. რეალურად, ახლადაშენებული ჰიდროსადგურების (ეს ახალი სადგურები დერეგულირებულია, როგორც მცირე ჰესები) ტარიფებს ბაზარზე არსებული მოთხოვნილება განსაზღვრავს, რომელიც სავალუტო კურსის ცვლილების გამო, ასევე მერყეობს. ამ შემთხვევაში, ეს ინვესტორებისთვის მართლაც კარგი სიგნალია და ნიშნავს, რომ ჯანსაღ ეკონომიკასთან გვაქვს საქმე.

— „ენერგო-პროს“ გარდა, სემეკს „თელასმაც“ მიმართა და სავარაუდოდ, დენი თბილისშიც გაძვირდება. ეს პროცესი გაზის ტარიფზეც აისახება?

— თუ მსოფლიოში არსებულ საერთო ტენდენციებს გადავხედავთ, გაზის ტარიფი არ უნდა გაიზარდოს. დიახ, „თელასმაც“ წარადგინა ტარიფის კორექტირების მოთხოვნა სემეკში. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ წინა მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმები, მაგრამ იმდენი კრიტიკული შენიშვნა მაქვს „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და თუ გნებავთ, „თელასსა“ და სახელმწიფოს შორის ადრე გაფორმებულ მემორანდუმებზე, რომ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

— რას გულისხმობთ?

— მემორანდუმებს, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში, 2007 და 2011 წლებში გაფორმდა. ისინი უდიდესი შეცდომა იყო, რამაც საქართველოს ენერგოსისტემას დიდი დარტყმა მიაყენა. დღეს კი ენერგეტიკის სფეროში რადიკალური რეფორმების აუცილებლობაზე ის ადამიანები საუბრობენ, რომლებსაც მაშინ ხმა არ ამოუღიათ და ამიტომ მათგან კრიტიკას ვერ მივიღებ. ვერც იმ ადამიანების კრიტიკას მივიღებ, რომლებიც ენერგეტიკის დარგს დღეს აგინებენ, მაგრამ 2007-2011 წლებში, რუსეთთან გაფორმებულ მემორანდუმებს, რომელთაც სემეკს ფუნქცია დაუკარგეს და სანოტარო ბიუროდ გადააქციეს, რატომღაც არ ახსენებენ! „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და „თელასს“ ამ მემორანდუმებით ჰქონდათ საინვესტიციო ვალდებულებებიც. კერძოდ, თითოეულს 100 მეგავატი სიმძლავრის ორი ჰესი უნდა აეშენებინა, რაც არ შესრულებულა. „თელასის“ განაცხადი ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით კი იმასაც ნიშნავს, რომ მემორანდუმიდან, ანუ მისი პირობებიდან გამოდის და საბოლოოდ დამთავრდება ამ „მემორანდუმების ეპოქა“, რაც ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ფაქტია. თუმცა ვფიქრობ, სემეკმა დეტალურად უნდა შეისწავლოს „თელასის“ განაცხადი, შესაძლებელია, გარკვეული დაბალანსებაც კი მოხდეს...

— და შედეგად, თბილისში დენი აღარ გაძვირდება?

— ვერ გეტყვით, რომ არ გაძვირდება, მაგრამ შესაძლოა, ისე არ გაიზარდოს, როგორც „ენერგო-პროს“ შემთხვევაში.

„პირდაპირი საფრთხე საქართველოს არ ემუქრება“

რატომ გამწვავდა კავკასიის რეგიონში ვითარება და ვინ მოაბეზრა თავი მამუკა არეშიძეს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პარალელურად, კავკასიის რეგიონში კონფლიქტური მდგომარეობა უფრო გამწვავდა: რუსეთი საქართველოში ე.წ. საზღვარს სწევს, აზერბაიჯანელები და სომხები მთიანი ყარაბაღის გამო უფრო აქტიურად დავობენ, თურქეთი ისლამურ სახელმწიფოს ღიად უცხადებს ომს, ჩვენი მეზობელი უკრაინაც ღიად ებრძვის რუსეთს. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ამბობს, რომ რეგიონში მსგავსი დაძაბულობა ჩვეული მოვლენაა, მისი განცხადებით საქართველოს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება, მათ შორის არც ისლამური სახელმწიფოს მხრიდან.

— პირდაპირი საფრთხე საქართველოს არ შეექმნება, რადგან ახლა, „კავკასიის ემირატისთვის“ ჩვენი ქვეყანა არ არის პრიორიტეტი. ყოველთვის ვამბობდი, რომ დარტყმის ობიექტი შუა აზია იქნებოდა. პრაქტიკულად ერთი კვირაა, თურქმენეთის საზღვარზე ბრძოლები მიმდინარეობს. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება ამას მალავს, მაგრამ ფაქტია, რომ 12 მესაზღვრეა დაღუპული. თურქმენეთის სამ პროვინციაში თალიბანის დაახლოებით 5-6 ათასი მეომარია თავმოყრილი.

— რამდენიმე ხნის წინ თურქეთმა ისლამურ სახელმწიფოს ღიად გამოუცხადა ომი. ეს დაპირისპირება საქართველოზე როგორ აისახება?

— კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს სტრუქტურა ჩამოყალიბებული არ არის. ისლამური ხალიფატი ვიღაცას არაორგანიზებული ძალა ჰგონია, რომელიც პარტიზანული მეთოდებით იბრძვის. თუმცა ასე არ არის. ერაყი იქნება ეს თუ სირია, ეს არის საარმიო სტრუქტურა.

— სტრუქტურაში რას გულისხმობთ?

— აი, მაგალითად, ერაყში ამ სტრუქტურას ხელმძღვანელობენ ერაყის ყოფილი ოფიცრები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სასწავლებლები და აქვთ დიდი გამოცდილება. კავკასიაში ასეთი ტიპის სტრუქტურა ჯერ არ შექმნილა. კი გაცემულია პროვინციის შექმნის ბრძანება. დანიშნულია ხელმძღვანელიც, მაგრამ ისლამურ ხალიფატს არ აქვს ურთიერთობა კავკასიის ემირატთან იმის მიუხედავად, რომ ბევრი მებრძოლი უკვე გადავიდა იქიდან. ასეთი სტრუქტურა საქართველოშიც არ არსებობს და ღმერთმა ნუ ქნას, შეიქმნას. ის ძალები, რომლებიც ხალიფატს უჭერენ მხარს, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ორგანიზებულები არ არიან. მათი ორგანიზებულობა გამოიხატება მხოლოდ სირიაში ხალხის გაყვანით. ისიც უნდა ითქვას, რომ ივლისში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

— თურქეთის ინიციატივით ნატო-ში სპეციალური შეხვედრა უნდა გაიმართოს, სადაც ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას განიხილავენ. ეს ვითარებას უკიდურესად ხომ არ დაძაბავს?

— პირველ რიგში ვითარების გასაანალიზებლად შემდეგი უნდა გავითვალისწინოთ — ყველა მსხვილ მოთამაშეს თავისი ინტერესები აქვს. რუსეთს, თურქეთს, აშშ-ს, ირანს, საუდის არაბეთს... ხალიფატის ლიკვიდაცია არავის აწყობს, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს, მართონ. მაგალითად ირანს ხალიფატის არსებობით გაუჩნდა ლეგალური საფუძველი, რომ შიიტური ძალების ორგანიზება მოაწყოს ახლო აღმოსავლეთში. თურქეთი ამ თვალსაზრისით უფრო რთულ მდგომარეობაშია, რადგან თურქეთი არამარტო სირიას, არამედ თურქეთის მუშათა პარტიის წარმომადგენლებსაც ებრძვის. ისინი თავის მხრივ ებრძვიან ხალიფატს. თურქეთისთვის მიუღებელია სირიაში სადამის გამარჯვება. თურქეთის ბრძოლა ფართომასშტაბიანი არ იქნება. რომ არა ნატო-ს აქტიურობა, თურქეთი ამ ბრძოლას არც დაიწყებდა. ამის მიღმა ბევრი გეოპოლიტიკური თამაში დგას.

— რამდენიმე ხნის წინ, უცხოური მედია აქტიურად განიხილავდა მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის განახლებას. შესაძლებელია, მდგომარეობა აზერბაიჯანშიც გამწვავდეს?

— ზოგადად, მდგომარეობა ყარაბაღის გარშემო ყოველთვის დაძაბული იყო. აზერბაიჯანი არ დაიწყებს საომარ მოქმედებებს, სანამ გამარჯვება გარანტირებული არ ექნება. ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში, აქაც მსხვილი მოთამაშეები მანიპულირებენ. ვიდრე არ იქნება მყარი გარანტია, თუნდაც თურქეთისგან, ის ასეთი წვრილ-წვრილი კონფლიქტებით შემოიფარგლება.

— თურქეთი ახლა ისლამურ სახელმწიფოს ებრძვის და აზერბაიჯანისთვის არ სცალია...

— ნამდვილად არ სცალია, ასე რომ, ყარაბაღის ზონაში კონფლიქტის გააქტიურებას არ ვვარაუდობ. თუ არ ვიგულისხმებთ წვრილ-წვრილ შეტაკებებს. ის შეხედულება, რომ კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებს საზოგადოება ერთმანეთს უკავშირებს, ჩემთვის ცნობილია, თუმცა გეტყვით, რომ დაძაბულობა სამხრეთ კავკასიაში სულ იქნება, რათა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს არ ჰქონდეთ თავიანთი პოლიტიკური ამბიცია. 2008 წლამდე საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც პოლიტიკურ სივრცეში სიტყვა ეთქმოდა და მსოფლიოს პოლიტიკური დღის წესრიგის სუბიექტი იყო. დღეს ეს სიტყვა აღარ გვეთქმის. ახლა ჩვენ მოვლენების განვითარების შემყურენი ვართ, თუმცა არა მხოლოდ ჩვენ, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც, რადგან თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში არიან ისინიც. აზერბაიჯანი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. დღეს ყველას აწყობს, რომ ჩვენ ვიღაცაზე დამოკიდებულნი ვიყოთ.

— ჩვენ ვისზე ვართ დამოკიდებულები?

— ჩვენ დასავლეთზე, აზერბაიჯანი თურქეთზე, სომხეთი რუსეთზე და ასე შემდეგ.

— უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში, პერიოდულად საბრძოლო მოქმედებები მიდის. ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ოდესაში მოღვაწეობა წარმატებული იქნება?

— სააკაშვილი, როგორც მას ახასიათებს, ბეწვის ხიდზე დადის ყოველთვის. ეს მისი პოლიტიკური ცხოვრები წესია. ხან გამოსდის, ხან — არა. ოდესაში საზოგადოება ორად არის გაყოფილი. ნეიტრალური ადამიანი პრაქტიკულად არ არსებობს. სააკაშვილს ეშინია ძალის. თუმცა ამ შემთხვევაში ძალა უკრაინაში არ არსებობს.

— უცხოური მედია ხშირად წერს, რომ სააკაშვილს ადგილობრივი ოლიგარქები ებრძვიან. ზოგი მის პასუხისგებას ცილისწამებისთვის ითხოვს, ზოგი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას ედავება, ზოგიც მის ტერიტორიებზე უკანონოდ შეჭრას.

— მართალია, მაგრამ მე კონსოლიდირებული ძალის არარსებობას ვგულისხმობ. სანამ სააკაშვილს პრეზიდენტი პოროშენკო მხარს უჭერს, ის იქ იქნება. სააკაშვილი ან დიდი ანგარიშით წააგებს, ან დიდი ანგარიშით მოიგებს. ნიჭიერი კაცია, მაგრამ — არა ბრძენი. მისთვის ცუდის და კარგის კეთებას ერთი და იგივე გემო აქვს. წარმოიდგინეთ, ოლიგარქების გუნდი რომ დაჯგუფდეს. აი ეს უკვე ძალა იქნება.

— ეს რამდენად მოსალოდნელია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ამას წინ, ერთ-ერთი ცნობილი ადამიანის ტერიტორიაზე შეიჭრა და ღობის დემონტაჟი მოითხოვა, რაც აშკარად უკანონო იყო.

— დიახ, უკანონობა ჩაიდინა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე შენიღბა, რომ დაჩაგრული ადამიანების თვალში ქულები დაიწერა. ოდესაში მეც მაქვს კონტაქტები და ვიცი, რომ საზოგადოების ნაწილი მას აღმერთებს, თუმცა მაძაგებლებიც ჰყავს.

— გამოდის, რომ ამ ეტაპზე მას როგორც პოლიტიკურ ფიგურას საფრთხე არ ემუქრება?

— საფრთხე ყოველთვის ემუქრება. მას ასეთი ტაქტიკა აქვს — სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. თუმცა დამარცხების შემთხვევაში, უცებ გამოდის ბრძოლის ველიდან.

— თქვენი აზრით, რატომ დაინიშნა სააკაშვილი მაინცდამაინც ოდესის გუბერნატორად? ცოტა ხნის წინ, მან ილიჩევსკის პორტის ხელმძღვანელიც მოხსნა...

— ილიჩევსკი ერთადერთი საზღვაო პორტია, რომელიც უკრაინას დარჩა. ის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილია. რუსეთის სამხედრო ამოცანაში შედიოდა მარიუპოლის დაკავება და დნეპრისპირეთის გავლით გზის გაჭრა. მათი ამოცანა ამ ტერიტორიის და მთლიანად შავი ზღვის სანაპიროს წართმევა იყო. თუ უკრაინამ დაკარგა ოდესა, მაშინ უკრაინა დასავლეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის აღარ იქნება. რატომ ოდესა? არჩევანი ორნაირად შეიძლება შეფასდეს. პირველი ეს სააკაშვილისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, შესაძლოა ფანტასტიკური ტრამპლინი იყოს და მეორე — პოროშენკოს შესაძლოა ყელში ამოუვიდა სააკაშვილის ხუშტურები და გადაწყვიტა, თავიდან მოიშოროს. იმიტომ გააგზავნა ოდესაში, რომ თუ რამე არ გამოუვა, დაადანაშაულებს. ამ ორი ვარიანტიდან, სიმართლესთან ორივეა ახლოს.

— ბატონო მამუკა, ოლიმპიური ფესტივალის გახსნაზე იყავით?

— არა, ტელევიზიით ვუყურე. პრეზიდენტი რომ არ დაესწრო, მაგაზე ნურაფერს მკითხავთ. არ მინდა მაგათ ინტრიგებში ჩარევა. თავი მომაბეზრეს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია და მირჩევნია, კოსოვოს დელეგაციაზე გესაუბროთ. მათ ვიზიტს რუსები აუცილებლად სათავისოდ გამოიყენებენ. გასაგებია, კოსოვოს დამოუკიდებლობა ასამდე ქვეყანამ სცნო, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის — ოთხმა თუ ხუთმა, მაგრამ ამ რეგიონებში განსხვავებული მოვლენები განვითარდა. კოსოვოში ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდი მოსულმა ადამიანებმა განახორციელეს. აფხაზეთში კი ადგილობრივმა მოსახლეობამ მეორე ადგილობრივ მოსახლეობას მოუწყო გენოციდი და იქიდან გაყარა.

2008 წელს, როდესაც დასავლეთმა სცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რუსებმა სცნეს აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“. მესმის, კოსოვო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და მისი არშეშვება არ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ახალგაზრდული ფესტივალი ისეთი ღონისძიება არაა, სადაც კულტურული მოლაპარაკებების გამართვა არ შეიძლებოდა.

— მოლაპარაკებები რომც გამართულიყო, კომიტეტი დათანხმდებოდა, მისი წევრი ფესტივალს არ დასწრებოდა?

— არ ვიცი. მეც მაინტერესებს, იყო თუ არა ასეთი მოლაპარაკებები და თუ იყო, ფაქტია, შედეგი ვერ მივიღეთ. რომ არ დაგვეშვა ეს დელეგაცია, ალბათ გამორიცხული არ არის, ოლიმპიური კომიტეტიდანაც გავერიცხეთ.

ჩვენი საფიქრალი

ლევან სეფისკვერაძე

— მორჩა! დამთავრდა! ამომივიდა ყელში ეს ყალბი იმედი და მუდმივი მოლოდინი, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვლება. ხვალვე უნდა შევიტანო საელჩოში განაცხადი და აქედან წავიდე. ყველაფერს აქვს საზღვარი!

— შენ ადრეც იძახდი, უნდა წავიდეო, მაგრამ ისევ აქ ხარ.

— ადრე რას ვიძახდი, არ ვიცი, ახლა მართლა მივდივარ. აღარ მინდა ასე გაგრძელება და იმიტომ!

— შენსავით ყველამ რომ დავკრათ ფეხი და წავიდეთ, ვიღას დარჩება ეს ქვეყანა? ამაზე თუ გიფიქრია?

— ვისაც გინდა, იმათ დარჩეს. აქ საიმედოს ვერაფერს ვხედავ...

— საიმედო ამბები სწორედაც რომ ხდება და ამიტომაც ვამბობ.

— რა ხდება? გამაგებინე, აბა, ერთი მეც, თუ კაცი ხარ...

— როგორ თუ რა ხდება? ხომ ასეთი ღარიბი ქვეყანა ვართ? ხომ ასეთი პრობლემებია? მაგრამ აბა ნახე, ჩვენმა ახალგაზრდებმა როგორი საოცარი სოლიდარობა გამოამჟღავნეს წყალდიდობის და უბედურების შემდეგ. ეს პატარა ამბავი გგონია?

— და ყველაფერი ეს რას ცვლის?

— გამოდის, რაღაცის იმედი არსებობს და ტყუილია ის, რომ ქართველები არაფერში ვუქნივართ ღმერთს. განა, პატარა ამბები ჩამოვთვალე? თუკი ახალგაზრდებს შეუძლიათ ერთად დგომა, შენ რატომ არ უნდა გქონდეს იმედი, რომ დადგება დრო, როცა ამ ქვეყანას ეკონომიკურადაც დაადგება საშველი.

— მაგათ ენაცვალოს ჩემი თავი, მაგრამ ამ ქვეყნის ეკონომიკა და წყალდიდობის შემდეგი ამბები მაინც ვერ დავაკავშირე და რა ვქნა?

— სულ მარტივი ამბავია. ყველაფერი ადამიანების ხელშია – სოლიდარობაც ადამიანებს მოეთხოვება და ეკონომიკას და დოვლათსაც ადამიანები ქმნიან. თუ ადამიანებს ერთის კეთება კარგად შეუძლიათ და მეორე ცუდად გამოსდის, ეს არ ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანები ვცხოვრობთ ამ ქვეყანაში. მეტი ცოდნა, მეტი პროფესიონალიზმი, არაფრისმაქნისებისათვის ადგილის მიჩენა და დამიჯერე, ყველაფერი გამოსწორდება.

— ეგ როდის იქნება? სულ მესმის, როცა იქნება, ყველაფერი გამოსწორდებაო, მაგრამ არაფერი იცვლება.

— ეგ როდის იქნება, ღმერთმა იცის, ალბათ, მაგრამ რომ იქნება, დარწმუნებული ვარ. 20 წლის წინ, როდესაც ჩვენს მორაგბეებს ელემენტარული სავარჯიშო მოედანიც კი არ ჰქონდათ, დღევანდელ გამარჯვებებზე მაშინ ოცნება შეუძლებელი იყო, მაგრამ ხომ ხედავ, გამარჯვებებიც მოვიდა და ისეთ ქვეყნებს ვუგებთ, ხან რომ ვფიქრობ, დაჯერება მიჭირს.

— ძალიან კარგად ლაპარაკობ, მაგრამ ხვალ საელჩოში რომ არ წავიდე და მერე ვინანო, შენ რა პასუხს გამცემ?

— მე რა პასუხი უნდა გაგცე? ხომ გეუბნები, პასუხი უკვე გაგცეს ჩვენმა ახალგაზრდებმა.

— არ შეგრცხვება, ხვალ უპურისფულოდ რომ მნახო?

— სირცხვილით კი იცი, ვისაც უნდა რცხვენოდეს. მე თუ გნახე, ხომ იცი, რომ ყოველთვის დაგიდგები გვერდით.

— აბა, ესე იგი, არ წავიდე?

— მოდი, ცოტაც მოითმინე. სულ ცოტაც...

SAYALI LLC და AHMC-იმ ამერიკული საავადმყოფოს დასაფინანსებლად, OPIC-თან ხელშეკრულება გააფორმეს

ლაშა სვანაძე

Sayali Ltd-მ და Overseas Private Investment Corporation-მა (OPIC) საქართველოში პირველი ამერიკული დაფინანსების და მენეჯმენტის მქონე საავადმყოფოს მოწყობის შესახებ ფინანსურ შეთანხმებას მიაღწიეს. საავადმყოფოს ოპერატორი კომპანია American Hospital Management Company (AHMC) იქნება და მას American Hospital Tbilisi (AHT-ამერიკული საავადმყოფო თბილისი) ერქმევა.

პროექტის მთლიანი ღირებულება 31 მილიონი აშშ დოლარია. აქედან 18 მილიონი აშშ დოლარის OPIC-ის მიერ დაფინანსებასთან დაკავშირებით, Sayali-ს დირექტორმა მამედ სულეიმანოვმა, AHMC-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტმა გრეგ კუნცმა და OPIC-ის მმართველმა დირექტორმა პროექტების დაფინანსების დარგში კენეტ ენჯელმა შეხვედრა გამართეს.

მხარეები წლის ბოლომდე ფორმალური წვეულების გამართვას გეგმავენ, რათა თბილისში მიმდინარე პროექტის და მშენებლობის მდგომარეობის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადონ.

პროექტს საფუძველი 2011 წელს ჩაეყარა, როდესაც Sayali Ltd.-მ თბილისში, დ. უზნაძის 58-ში, უ. ჩხეიძის 17-ში, ყოფილი 2 სამშობიარო სახლის და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე პრივატიზებული მიწის ნაკვეთი და შენონები უზრუნველყოფაში აიღო. ამ მოძველებული შენობების ადგილზე, AHT (რომელიც ამჟამად ჯერ მშენებლობის ეტაპზეა) კარდიოქირურგიაში და ნეიროქირურგიაში მოახდენს სპეციალიზაციას.

თანამედროვე, 100-საწოლიანი კლინიკის მენეჯმენტს ვაშინგტონში ბაზირებული საავადმყოფოების მენეჯმენტის კომპანია AHMC განახორციელებს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 30-ზე მეტ მომუშავე და განვითარების სტადიაზე მყოფ პროექტშია ჩართული.

AHT-ს დასრულება 2016 წლის შუა პერიოდში იგეგმება და ჰოსპიტლის გახსნის დღიდან იქ 700 პროფესიონალი მედიკოსი და დამხმარე პერსონალი იმუშავებს.

ეს მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ადგილობრივ ბაზარზე ამერიკულ გამოცდილებას შემოიტანს: AHT იქნება არა მხოლოდ პირველი ჯანდაცვის ობიექტი საქართველოში, რომელსაც ამერიკული ჰოსპიტალური მენეჯმენტის კომპანია მართავს, არამედ AHT-ის მიზანია საერთაშორისო ერთობლივი კომისიის (Joint Commission International) პრესტიჟული აკრედიტაცია დაიმსახუროს.

„საქართველოს ბაზარმა თანამედროვე, მსოფლიო კლასის ჰოსპიტალში ჯანდაცვის ამერიკული სტანდარტების დანერგვის სურვილი გამოთქვა. ამ სურვილის ხელშეწყობა ჩვენთვის დიდი პატივია. გვიხარია, რომ შესაძლებლობა მოგვეცა OPIC-თან და AHMC-თან ვიმუშაოთ და თბილისში ეს სტანდარტები შემოვიტანოთ“, — განაცხადა მამედ სულეიმანოვმა.

American Hospital Management Company, Washington, D.C., U.S.A. ამერიკაში, ვაშინგტონში (კოლუმბიის ფედერალური ოლქი) ბაზირებული, დივერსიფიცირებული ჯანდაცვის საერთაშორისო სისტემაა, რომელიც მსოფლიო კლასის საავადმყოფოების და ჯანდაცვის სისტემების ადმინისტრირებაზე, მენეჯმენტზე და განვითარებაზეა ფოკუსირებული. 1998 წელს დაფუძნების შემდეგ, AHMC ჰოსპიტალური მენეჯმენტის და ადმინისტრირების მოწინავე საერთაშორისო აუთსორსინგულ კომპანიად გარდაიქმნა. AHMC ინტეგრირებულ მენეჯერულ მომსახურებას და კომპლექსურ გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს, რომლებიც მთელ მსოფლიოში კლინიკებისა და ჯანდაცვის სისტემების უნიკალურ მოთხოვნილებებთან არის ადაპტირებული. AHMC ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სამედიცინო ობიექტებს და განმავითარებელ პროექტებს მართავს. მათ შორის, შემდეგ ქვეყნებში: საუდის არაბეთი, იორდანია, ეგვიპტე, ლიბია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, განა, ნიგერია, საქართველო, რუსეთი, ანტიგუა და ბარბუდა, ინდოეთი, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, პანამა.

Sayali Ltd. აზერბაიჯანში ბაზირებული AzerCon Group of Companies -ის ქართული შვილობილი კომპანიაა. Sayali Ltd-მ საერთაშორისო კონსორციუმი შექმნა, რომელიც ახალი კლინიკების განვითარების და მართვის საკითხებზე კოოპერირებულად მუშაობს, რათა ადგილობრივ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცეს მრავალდარგობრივი ჰოსპიტალური სერვისი მოიხმაროს. მათ შორის, როგორც ამბულატორული, ასევე სტაციონარული მომსახურება. AHT დაგეგმილია როგორც პირველი ჰოსპიტალი ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში ცნობილ საერთაშორისო ერთობლივი კომისიის სტანდარტების შესაბამისად იფუნქციონირებს. ეს სტანდარტები ორიენტირებულია ხარისხის ამაღლებაზე და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

Overseas Private Investment Corporation ფინანსური განვითარების ა.შ.შ. სამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც კერძო კაპიტალის მობილიზებას ახორციელებს, რათა დახმარების გაწევით პასუხი გაეცეს კრიტიკული განვითარების გამოწვევებს. ამით OPIC ხელს უწყობს აშშ საგარეო პოლიტიკის წინსვლას და ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებს. როდესაც შეუძლებელია კომერციული წყაროებიდან დაფინასების მიღება, OPIC თავის მისიას ინვესტორებისთვის დაფინანსების, გარანტიების, პოლიტიკური რისკების დაზღვევის უზრუნველყოფით და კერძო საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერით ახორციელებს. OPIC-ის ყველა პროექტისთვის დამახასიათებელია მაღალი ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები და ადამიანების (მათ შორის მუშაკების) უფლებათა დაცვა. მაღალი სტანდარტების დანერგვით, OPIC ხელს უწყობს ინდუსტრიის და რეგიონული სტანდარტების განვითარებას იმ ქვეყნებში, რომლებშიც მისი პროექტები ხორციელდება. OPIC-ის სერვისები ახალი და განვითარებადი საწარმოებისთვის მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანაშია ხელმისაწვდომი.

მიზანმიმართული ბრძოლა „ქართუსა“ და საქველმოქმედო ფონდ „აბუს“ წინააღმდეგ

„სამშენებლო კომპანია „აბუ“ არ ეწევა კომერციულ საქმიანობას და მხოლოდ „ქართუს“ საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებს“

გიორგი იაშვილი

აქამდე ასე იყო — საზოგადოებამ იცოდა, რომ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შვილობილი კომპანია „აბუ“ კომერციულ საქმიანობას არ ეწეოდა და მხოლოდ საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებდა. დღესაც კი „აბუ“ თბილისის ოპერას, ბათუმის თეატრს, რაგბის სტადიონების ქსელს და ურეკის საკონცერტო დარბაზს არემონტებს. ჰოდა, საოცარი იყო ის ფაქტი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა კონკრეტულად „აბუზე“ სიუჟეტი მოამზადა და აღნიშნული კომპანია ხე-ტყის უკანონო ჭრაში დაადანაშაულა. შესაბამისად, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ ადმინისტრაციამ მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა: **„2015 წლის 25 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი ასოციაცია „აბუს“ მიერ ამბროლაურის რაიონში ხეტყის ჭრის შესახებ, რომელშიც კომპანიის საქმიანობა სრულიად დამახინჯებულად იყო წარმოჩენილი; იმავე დღეს ეს სიუჟეტი, პრაქტიკულად უცვლელად, მაყურებელს უჩვენა ტელეკომპანია „მაესტრომაც“. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კომპანია „აბუ“ საერთოდ არ ეწევა კომერციულ საქმიანობას და იგი მხოლოდ ფონდი „ქართუს“ საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებს. მის მიერ შესრულებული პროექტების სრული ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ და შეგახსენებთ მხოლოდ იმ ობიექტებს, რომლებზეც წელს მიმდინარეობს სამუშაოები, მათ შორის: თბილისის ოპერა, ბათუმის თეატრი, რაგბის სტადიონების ქსელი, ურეკის საკონცერტო დარბაზი და სხვა მრავალი. ბუნებრივია, ყველა აღნიშნული მშენებლობა საჭიროებს ხის მასალას.**

ამ მიზნისთვის ასოციაცია „აბუს“, ყველა პროცედურის დაცვით, მოპოვებული აქვს ხე-ტყის სანიტარული ჭრის ლიცენზია, რომელიც გულისხმობს დაბერებული და/ან დაავადებული ხეების გამოხშირვას, რაც ტყის განახლება-გაჯანსაღების აუცილებელ პროცედურას წარმოადგენს. ამგვარი მასშტაბური, კანონიერი, საზოგადოებისა და გარემოსთვის სასარგებლო საქმიანობის აგრესიული ნეგატიურობით და არაობიექტურად წარმოჩენა, ცხადია, წინასწარ დაგეგმილი ცილისმწამებლური კამპანიის ნაწილს წარმოადგენს. ყველასთვის ცნობილია, რომ „რუსთავი 2“ ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდის მანქანას წარმოადგენს და მისი მთავარი მიზანია, შენიღბული თუ ღია დეზინფორმაციით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად გასაკვირი ის არის, თუ რატომ, რა მოტივითა და რა მიზნით შეუერთდა ამ კამპანიას ტელეკომპანია „მაესტრო“. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ „მაესტრო“ ცდილობს, ფონდი „ქართუს” საქველმოქმედო პროექტებისა და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ „მაესტრომ“ დაარღვია ელემენტარული ჟურნალისტური სტანდარტი, არც კი სცადა ფონდ „ქართუსთან“ ან ასოციაცია „აბუსთან“ დაედგინა სიმართლე და დაადგა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ აპრობირებულ გზას. სრულიად ნათელია, რომ საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს სიკეთის ბოროტებად გამსაღებელთა უპერსპექტივო მცდელობას – დეზინფორმატორები ვერანაირ მიზანს ვერ მიაღწევენ. ობიექტურ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნისთვის გაკეთებული სასიკეთო საქმეების დანახვაც და დაფასებაც – მაშინაც კი, როდესაც ქველმოქმედები ამას არ ითხოვენ“.

„სარეაბილიტაციო სამუშაოებისას მოსახლეობას ბუნებრივი აირი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება“

ენერგეტიკის სამინისტრო მილსადენებზე დაგეგმილი გეგმური სარეაბილიტაციო სამუშოების შესახებ განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში მოსახლეობას გაზი არ შეუწყდება — ბუნებრივი აირის მიწოდებას ერთ შემთხვევაში, მილსადენი „ყაზახი“, მეორე შემთხვევაში კი „შაჰ დენიზი“ უზრუნველყოფს: „სამწუხარო და შემაშფოთებელია, როდესაც მედიასაშუალება ობიექტური ინფორმაციის გაშუქების ნაცვლად, მოსახლეობაში ავრცელებს მცდარ ინფორმაციას და მოქალაქეები შეყავს შეცდომაში. 27 ივლისს „რუსთავი2-ის“ ეთერით გასული სიუჟეტი — მოსახლეობისთვის ბუნებირვი აირის მიწოდების შეწყვეტის შესახებ, არის დეზინფორმაციული და ჩრდილს აყენებს საქართველოს მთავრობისა და ენერგეტიკის სამინისტროს რეპუტაციას. ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ მხრიდან, სიცრუის უარმყოფელი განცხადებების მიუხედავად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ კვლავ აგრძელებს სიცრუის ტირაჟირებას და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. მაშინ, როდესაც ენერგეტიკის სამინისტრო ღიაა ყველა მედია საშუალებასთან თანამშრომრომლობისთვის, აღნიშნულ საკითხზე არხი უწყების პოზიციით არ ინტერესდება.მილსადენებზე დაგეგმილი გეგმური სარეაბილიტაციო სამუშოების მიუხედავად, მოსახლეობის ბუნებივი აირით მომარაგება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. „შაჰ-დენზის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები 1-დან 20 აგვისტომდე გასტანს და აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის ბუნებირვი აირით მომარაგება „ყაზახის“ ძველი მილსადენით განხორციელდება. ხოლო „ყაზახის“ მილსადენზე სარეაბილიტაციო სამუშოების პერიოდში, მოსახლეობისთვის ბუნბრივი აირის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას, „შაჰ-დენიზის“ მილსადენი უზრუნველყოფს. გეგმიური სარეაბილიტაციო სამუშაოები ყოველ ზაფხულს ხორციელდებოდა და ეს არასოდეს ყოფილა არც მედიის და მითუმეტეს, არც პოლიტიკოსების ინტერესის თემა. საინტერესოა, რის საფუძველზე ან რა მიზნით გადაწყვიტა არხმა აღნიშნულზე სიცრუის აწყობა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველას, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს, ნუ ავრცელებენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას და ნებისმიერი პოლიტიკურად ანგაჟირებული ინფორმააცია გადაამოწმონ უშუალოდ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში“.

„პირველი“

ზაზა აბაშიძე: „ვფიქრობ, პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დიდი კორნელი კეკელიძის სახელი დაუბრუნდა. ხელნაწერებს მალე ახალი, ეროვნული განძისთვის შესაფერისი ისტორიული შენობაც ექნებათ, რაც ათეული წლები გადაუჭრელი პრობლემა იყო. უმნიშვნელავანესია ისიც, რომ ცენტრის თანამშრომლებს ხელფასი 150-300%-ით გაეზარდათ. კიდევ რა შეიცვალა ზაზა აბაშიძის დანიშვნის შემდეგ და რა პროექტების განხორციელება იგეგმება, აღნიშნულზე თავად ზაზა აბაშიძე საუბრობს.

რატომ დაუბრუნდა ხელნაწერთა ცენტრს კორნელი კეკელიძის სახელი და როდის გადავა ახალ შენობაში

— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დიდი კორნელი კეკელიძის სახელი უბრუნდება. რას უკავშირდება ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

— მეცნიერებმა ერთ-ერთ შეკრებაზე გამოთქვეს სურვილი, რომ ცენტრს თავისი სახელი დაუბრუნდეს, რადგან თავის დროზე, ამ სახელის ჩამოშორება გაუგებრობის გამო მოხდა. იმ პერიოდისთვის გადაწყდა, რომ ცენტრები არავის სახელობის არ უნდა ყოფილიყო და სახელწოდებებიდან კორნელი კეკელიძის სახელი სწორედ ამიტომ გაქრა. ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორ მარიკა დიდებულიძის დიდი მცდელობით, სახელი შეუნარჩუნდა ჩუბინაშვილის ხელოვნების ისტორიისა და ბერიტაშვილის სახელობის ცენტრებს. მხოლოდ კორნელი კეკელიძე რჩებოდა. შესაბამისად, მივწერეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ მეცნიერ-თანამშრომლებს კვლავ სურდათ ამ სახელის აღდგენა. რამდენიმე დღის წინ, პრემიერ-მინისტრის დადგენილება მოვიდა, რომ ცენტრს ოფიციალურად აღუდგა კორნელი კეკელიძის სახელი, რომელიც თავის დროზე, ილია აბულიძის ინიციატივით ეწოდა.

— ბატონო ზაზა, თქვენი დანიშვნა აჟიოტაჟის ფონზე მოხდა, თუმცა, ცენტრში მუშაობა მეტად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, როგორ მუშაობთ კოლექტივთან? საზოგადოებისთვის ეს ალბათ, ძალიან საინტერესოა.

— არ ვარ ისეთი ადამიანი, ჩემთან თანამშრომლობა და ურთიერთობის დალაგება ვინმეს გაუჭირდეს. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 475 თანამშრომელი მყავდა და პირველი დღეებიდანვე ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, გავიცანი თითქმის მთელი კოლექტივი. მე არ ვარ რთული საურთიერთობო, მაგრამ დირექციის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლაც არ არის ლამაზი. ჭორებსაყოლილი ადამიანი არ ვარ და ჯერჯერობით, რეაქცია არ მაქვს, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ცენტრში არის მცირე დაჯგუფება, რომელსაც სურს, დისონანსი შეიტანოს ცენტრის მუშაობაში, რაც არ გამოუვათ.

ცენტრში მოსვლის პირველივე დღეს სიმშვიდე დამხვდა. არავითარი დაპირისპირება თანამშრომლებთან არ მქონდა და არც მათ ჰქონიათ პრეტენზია ჩემს პიროვნებასთან. მათი პროტესტის მიზეზი სხვა რამ იყო. თანამშრომლები მოითხოვდნენ დიერქტორი სამეცნიერო საბჭოს აერჩია, მაგრამ 2011 წლის დებულებით, დირექტორს საბჭო არ ირჩევდა. დაპირისპირება მათსა და მაკონტროლებელ ორგანოსთან ამან გამოიწვია, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ დღეს ცვლილება შევიდა „მეცნიერების ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში“ — სამეცნიერო დაწესებულების დირექტორს 5 წლის ვადით სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭო ირჩევს. პრაქტიკულად, მივიდნენ იმ კანონამდე, რომელსაც ცენტრის თანამშრომლები ითხოვდნენ.

მე პირადად, ასეთი ცვლილების კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ჩვენს ცენტრთან მიმართებაში. ბერიტაშვილისა და ბაქტერიოფაგიის ცენტრებში, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტებში კი, ბატონო, აირჩიონ დირექტორი, მაგრამ ჩვენ უბრალოდ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი არ ვართ. ბატონ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს აუცილებლად მივწერ, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თავის თავში აერთიანებს როგორც სამეცნიერო კვლევით, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, მაგრამ რაც მთავარია, ეს არის საცავი, რომელიც მილიონობით ღირებულების საგანძურს ინახავს. ესაა ეროვნული მემკვიდრეობის, უძვირფასესი ძეგლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. ესაა მილიონობით ლარის სახელმწიფო ქონება და მისი დირექტორი, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ქონების მცველი, კოლექტივის მიერ არ უნდა იყოს არჩეული. მისი დირექტორი უნდა ინიშნებოდეს სახელმწიფოს მიერ, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის ან მინისტრის მიერ, რადგან მას სახელმწიფოებრივ საქმეს ანდობენ და არა უბრალოდ სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობას. საცავის მთავარი მცველი, საქართველოში ალბათ ადამიანთა იმ ხუთეულში შედის, რომელთაც ყველაზე დიდი განძი აქვთ მინდობილი. აქედან, დაწესებულების დირექტორი, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს არჩეული. ეს არის ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის ბოლომდე გაუცნობიერებლობა და ჩემ მოსაზრებას გავაცნობ მინისტრსაც, პრემიერსაც, პრეზიდენტსაც და თუ საჭირო იქნება, პარლამენტსაც გავუგზავნი შესაბამის წერილს.

— რა შეიცვალა თქვენი დანიშვნის შემდეგ? აცხადებდით, რომ პირველ რიგში თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდის საკითხს დააყენებდით...

— უკვე გვაქვს დამტკიცებული საშტატო ნუსხა, რომლის თანახმად, რიგ თანამშრომლებს ხელფასი 300%-ითაც კი მოემატა. ფინანსისტები ითვლიან, რომ მატება საშუალოდ 150%-ია, მაგრამ მაგალითად, მთავარ სპეციალისტს, რომელსაც ხელფასი 240 ლარი ჰქონდა, 850 გაუხდა. ჩვეულებრივი სპეციალისტის ყველაზე დაბალი ხელფასი 650 ლარია ანუ ხელფასმა საკმაოდ მოიმატა.

გამომდინარე იქიდან, რომ მატება რამდენიმე დღის წინ მოხდა, ივლისში თანამშრომლები მხოლოდ რამდენიმე დღის მომატებულ ხელფასს აიღებენ, მაგრამ აგვისტოში უკვე სრულს მიიღებენ. ხელფასის მატებას ჩემს თავზე ვერ მივიწერ. ეს პრემიერის დავალებაც იყო და მანამდეც, სამინისტროს ჰქონდა ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. უბრალოდ, ეს ჩემს პერიოდში მოხდა. ჩემი დამსახურება ნამდვილად არ არის. არასდროს მივცემ თავს უფლებას, სხვისი დამსახურება მივიწერო.

— თქვენს დანიშვნამდე ცენტრი სხვადასხვა პროექტზე მუშაობდა. რა ახალ პროექტებზე მუშაობთ, რა გაქვთ დაგეგმილი სამომავლოდ?

— ყველა პროექტი, რაც ცენტრში ხორციელდებოდა, გაგრძელდება და ბევრი ახალი იდეაც დაემატება. ახლა, მკვდარი სეზონია, გარდა ამისა, მოვალეობის შესრულებას რეალურად, ივნისში შევუდექი და ამ ეტაპზე საორგანიზაციო, სახელფასო და სხვადასხვა იურიდიულ საკითხზე ვმუშაობთ. ცენტრს ექნება არა მხოლოდ კვლევითი დაწესებულების, რაც უმნიშვნელოვანესია, არამედ საგანმანათლებლო და სამუზეუმო-საექსპოზიციო ფუნქციაც.

— ინტენსიურად საუბრობდნენ შენობის შეცვლაზე. ადგილი შეირჩა?

— სხვა ქვეყანაში არ მიცხოვრია, აქ ვცხოვრობდი, კარგად ვიცნობდი აქაურ თანამშრომლებს და ისიც კარგად ვიცი, რომ მინიმუმ 30 წელზე მეტია საუბარი მიდიოდა ცენტრის სხვა შენობაში გადასვლასა და სათანადო პირობების შექმნაზე პირველ რიგში ხელნაწერებისთვის. ამაზე ზრუნავდა ბატონი ზაზა ალექსიძე, ქალბატონი ელო მეტრეველი. იყო კიდეც გადაწყვეტილება მიღებული, რომ ინსტიტუტს გადასცემოდა მეტად მყარი, ყოველმხრივ საუკეთესო ყოფილი „იმელის“ შენობა. ეს იყო ჯერ ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილება, შემდეგ ზურაბ ჟვანიასი, მაგრამ განხორციელება ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, სააკაშვილმა გადაწყვიტა, ეს შენობა გაეყიდა და გაყიდა კიდეც, სადაც ახლა სასტუმროს აშენებენ. ამის შემდეგ ამ საკითხზე ზრუნვა არ შეწყვეტილა არც ბატონი ზაზა ალექსიძის და ბატონი ბუბა კუდავას დროს. როგორც ვიცი, ბატონ ბუბას, ახლის მშენებლობაზე ჰქონდა აქცენტი. ამიტომ, გამიკვირდა, როდესაც რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით განაცხადა, რომ ძველი შენობის რეკონსტრუქციაც შესაძლებელია. მე არ ვიცი რა იგულისხმება რეკონსტრუქციაში, მაგრამ ადგილი იმისათვისაც აღარ გვაქვს, რომ თანამშრომლები ნორმალურად ისხდნენ სამუშაო ოთახებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ საცავს განვითარება სჭირდება. აუცილებელია, ყველა საცავის ფართი გაიზარდოს. გაიხედეთ, ყოველი მხრიდან კორპუსებში ვართ მოქცეული მაშინ, როდესაც აკადემიური ზონა იყო. სხვადასხვა მიმართულების — გეოლოგიის, გეო-ფიზიკის, მათემატიკის, ხელნაწერთა ინსტიტუტები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. აქ აკადემქალაქის ფუნქციის მქონე ტერიტორია უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარჩა რამე? ყველაფერი გაყიდულია, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსი, პრაქტიკულად, ჩვენს ეზოში შენდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ კორპუსებში ჩვენი ყოფნა მიზანშეწონილია, ცდებიან. ვფიქრობ, აუცილებელია ახალი შენობა უკეთესი პირობებით.

მინისტრ თამარ სანიკიძის ინიციატივით, ფაქტობრივად, პირველი დღიდან დავიწყეთ შენობის ან შესაფერისი ტერიტორიის ძებნა. გვინდოდა ან მიწის ფართის, ან უკვე არსებული ისეთი ძველი ისტორიული შენობის გამონახვა, რომელიც რეკონსტრუქციას დაექვემდებარებოდა და ჩვენს ფუნქციებს დააკმაყოფილებდა. ჩვენ მიერ მიწოდებული ნუსხა მინისტრმა პრემიერს გააცნო, შეხვედრას მეც ვესწრებოდი და ბატონმა პრემიერმა ყველაზე მეტად მისაღებ შენობად მიიჩნია და ვფიქრობ სამართლიანად, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა. ამან ძალიან გაგვახარა. რომ გითხრათ, პირდაპირ შეიძლება გადასვლა, ასე არ არის. შენობა გადაკეთებას, ჩვენი ფუნქციისთვის მორგებას საჭიროებს. მართალია, შენობაში საცავი ბევრია, მაგრამ რეალურად, გამოყენებადი ჯერჯერობით ორია, ერთი საკმაოდ დიდი, სადაც შეიძლება უკვე დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები უცხოელი სპეციალისტების მოწვევით, რადგან ყველაფერს თავის ნორმა აქვს — უნდა განისაზღვროს როგორი უნდა იყოს საცავი, რა მასალაა საჭირო, ტემპერატურა და ა.შ. ამ ისტორიულ შენობას, ეზოს მხრიდან კომუნისტების დროს აგებული ერთი უშნო შენობაც აქვს მიდგმული, რომელშიც დაახლოებით 30 ოთახია. ვფიქრობ, იქ შეიძლებოდა მაგალითად, სამეცნიერო ნაწილის განთავსება, მაგრამ ამ მიდგმული შენობის გარემონტება და მისი კაპიტალური აღდგენა, ჩემი აზრით, გაცილებით ძვირი დაჯდება, ვიდრე მისი დანგრევა და 2-3 სართულიანი, საინტერესო არქიტექტურის მქონე პატარა, ლამაზი შენობის აშენება, სადაც ახალი საცავებიც განთავსდება. თუმცა, ცხადია, არქიტექტორებმა უნდა თქვან საბოლოო სიტყვა.

ახალი შენობა ჯერჯერობით რამდენიმე თანამშრომელთან ერთად დავათვალიერე, რადგან ამ ეტაპზე იქ, დროებით კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ეკონომიკური საბჭო და საჯარო სამსახურის ბიუროა შესახლებული. ჩვენ შევქმნით ჯგუფს, ყველა განყოფილებიდან თითო-თითო კაცისგან, მიბრძანდებიან და ნახავენ, რადგან მათ უკეთ იციან, რა სჯობს, რომელი საცავი სად, რა პირობებში განთავსდეს. თუმცა, სხვა უწყებების გადასვლამდე უხერხულია. იქ შესაძლებელია, კარგი ბიბლიოთეკაც გაკეთდეს. არის კარგი საექსპოზიციო სივრცეც და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის ქალაქის ცენტრშია, ისტორიულ შენობაში. ვფიქრობ, პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუმცა, სერიოზული რეკონსტრუქციაა საჭირო და აუცილებელია უცხოელი სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ასეთი მნიშვნელოვანი საცავების შენების, დაგეგმვისა და აღჭურვის გამოცდილება.

— განათლების სამინისტროს შიდააუდიტის დასკვნაში ცენტრს ბევრი მითითება მიეცა, ასწორებთ ხარვეზებს?

— გადაცდმობები რომ აღარ განმეორდეს, დასკვნაში მითითებულ დარღვევებზე მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს ბოროტი განზრახვით არ მომხდარა. ალბათ, უფრო არცოდნის გამო ხდებოდა და უკვე მის გამოსწორებაზე ვმუშაობთ. პარალელურად, ცენტრში მუშაობს საგადასახადო ინსპექციაც, რომელიც მთელ საფინანსო დოკუმენტაციას სწავლობს. როგორც დირექტორმა, უნდა ვიცოდე, რას და როგორ ვიბარებ. საგადასახადო ინსპექცია ამ დღეებში დაასრულებს მუშაობას და გაირკვევა ფინანსური თვალსაზრისით, კიდევ რამე დარღვევას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

ვერსიანიუსი

36 მოსწავლე, განათლების სამინისტროს დაფინანსებით, ინგლისში, საზაფხულო სკოლაში გაემგზავრება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური გაეცნო პროექტს, სახელწოდებით „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“. პროექტი ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე ხორციელდება და ორ ქვეპროგრამას მოიცავს: „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა გაერთიანებულ სამეფოში“. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამაში 600 მოსწავლე 3 ნაკადად მონაწილეობს, საიდანაც 36 საუკეთესო (12 თითოეული ნაკადიდან), სამინისტროს სრული დაფინანსებით, დიდ ბრიტანეთში, ინგლისური ენის ორკვირიან საზაფხულო სკოლაში გაემგზავრება. სკოლაში აქტივობების პროგრამა ინგლისური მხარის მიერ არის შემუშავებული და მოსწავლეთა ინტელექტუალური, სპორტული და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზეა ორიენტირებული. სწავლაში გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ეს ფორმა ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებში მოტივაცია ჩნდება და ყოველწლიურად იზრდება სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეთა რაოდენობა. საზაფხულო სკოლების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს კიდევ ორი საზაფხულო სკოლა ტარდება: „მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლა“ და „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“. ორივე ბაკურიანში, ივლისსა და აგვისტოში გაიმართება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, პროგრამა „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ უკვე მეშვიდე წელია ხორციელდება. პროგრამის მონაწილეები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების მესამე ტურის შედეგების საფუძველზე შერჩეული მე-9, მე-10 და მე-11 კლასის წარმატებული მოსწავლეები და სამინისტროს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა კონკურსის გამარჯვებულები არიან.

„ინტერპრესნიუსი“

3 წლის ბავშვის მკვლელის აღსარება

შემთხვევითი მსხვერპლი და კბილის პასტის ტუბებში დამაღული თაფლი ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისთვის

პატიმარი №0578

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“, — შექსპირის სონეტის ეს ამონარიდი, პატიმარმა №0578-მა მაშინ გაიგონა, როდესაც რუსთავის №17 ზონაზე მსჯავრდებულთა ახალი ნაკადი მოიყვანეს. ფანჯარასთან მივიდა, ეზოში გადაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა — ჯერ ერთი, ღამე იყო და იმის მიუხედავად, რომ იქაურობა ყვითელი შუქით იყო გაჩახჩახებული, ვერაფერი გაარჩია და მეორეც, ზონა დაკეტილი გახლდათ და №0578-ის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, დილამდე არავინ გააღებდა. დილით კი...

„გუშინ ახალი პატიმრები რომ მოიყვანეს, ვიღაც გზადაგზა ლექსებს კითხულობდა. უფრო სწორად, შექსპირის სონეტებს და ხომ არ იცით, ვინ იყო?!“ — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში იყო და წინა ღამეს იხსენებდა.

„ნეტაი შენ, შექსპირის გარდა რომ არაფერი გახსოვს. 45 კაცი მოიყვანეს ტუბზონიდან. იცი, ეს რას ნიშნავს?!“ — უპასუხა მაყურებელმა. №0578-მა იცოდა, ეს რას ნიშნავდა. 45 „გამოჯანმრთელებული“ პატიმრიდან, ნახევარზე მეტს ისევ ტუბერკულოზი ექნებოდა, გამოჯანმრთელებულებს კი თაფლი და კარაქი სჭირდებოდათ დასუსტებული ორგანიზმის აღსადგენად. №0578-ს ხმა არ გაუღია, ისე აბრუნდა კამერაში, თანასაკნელებისგან ოთხი ყუთი კარაქი მოაგროვა, თავის კარადიდან ერთი ლიტრი თაფლი აიღო და ისევ უკან ჩაბრუნდა.

„აჰა, ეძახე ახლა ამას პატიოსანი კაცი. „ბლატატა“ რომ ასე იქცეოდეს, ნაშველები გვექნება“, — თქვა მაყურებელმა და კარაქი და თაფლი კუთხეში მიაწყო. საღამოს, ახლადმოყვანილებს თაფლი და კარაქი ჰქონდათ, პირველადი მოხმარების საგნებიც მისცეს, მაგრამ წამალი პრობლემა იყო.

„რამე იდეა ხომ არ გაქვს?!“ — დილით ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს. „დღეს ზონა რომ დაიკეტება, 45-ვე პატიმარმა კამერებში შესვლაზე უარი თქვას და მედიკამენტები მოითხოვოს. მხარს დანარჩენებიც ავუბამთ და მოიტანენ „შუმოკის“ შიშით“.

საღამოს რუპორში ხმამაღლა გამოაცხადეს: „იწყება საღამოს შემოწმება, ყველა მსჯავრდებული შევიდეს საკანში“ და პატიმრები ზანტად დაიძრნენ საკნებისკენ, თუმცა მალე ჩოჩქოლი ატყდა და მთელი ზონა გარეთ გამოიშალა. „მაინც გვხოცავთ. დაუძახეთ სპეცრაზმს და მათ დაგვხოცონ, მალე მაინც გათავდება წვალება“, — გაიძახოდნენ ტუბზონიდან მოყვანილი პატიმრები. ტერიტორიაზე ზონის უფროსი, ლაშა ბრეგვაძე გადმოვიდა, მაყურებლებს რაღაც უთხრა და მათაც ხმამაღლა თქვეს, წამლები ხვალ დილით იქნება, დღეს ვიშლებითო.

„მოგატყუებს“, — საკანში შესვლის წინ უთხრა №0578-მა მაყურებელს. „მომატყუებს და ხვალაც ხომ უნდა დაკეტონ ზონა?“ — თვალი ჩაუკრა მაყურებელმა და...

იმავე ღამეს 45-ვე პატიმარი საკნებიდან გაიყვანეს და გვერდით, ე.წ. ეკლესიის ზონაზე გადაიყვანეს.

„შარში ვართ. გადაყვანა არაფერი, იქ მოითხოვენ წამლებს, მაგრამ დასავლეთის პატიმრებმა სახლში თაფლი შეუკვეთეს ამათთვის, 2-3 დღეში მოიტანენ და იმათ როგორ უნდა მივაწოდოთ, ეგ არის პრობლემა“, — თავი ჩაქინდრა მაყურებელმა.

„მაგას ბებრები გვეტყვიან, მაგრამ შენ ის თქვი, მედიკამენტები იქაც რომ არ მიუტანონ, „შუმოკი“ რომ დაიწყოს, ჩვენც უნდა ავყვეთ და იმათ ხელს არ მოკიდებენ, ავადმყოფები არიან, ჩვენ დაგვსჯიან სამაგალითოდ“, — თქვა სხვა პატიმარმა.

ორიოდე დღეში მაყურებლების კამერაში ოც ლიტრზე მეტი თაფლი მოგროვდა. ძველი პატიმრების მითითებით, თაფლი ოდნავ შეათბეს და კბილის პასტის, გარეცხილ ტუბებში ჩაასხეს. ასე შეგროვდა თაფლით დატვირთული ხუთასამდე კბილის პასტის ტუბი. ორ ზონას ექვსმეტრიანი რკინის გისოსი ჰყოფდა, პატიმრები ერთმანეთს ხედავდნენ, მაგრამ ორი „ვიშკიორი“ სიტუაციას სრულად აკონტროლებდა. მეორე დილას რკინის ღობესთან ორივე მხარეს ბევრი პატიმარი ირეოდა. უცებ, №0578 ვიღაც პატიმარს აუშარდა და ძიძგილაობა დაიწყეს. ერთმანეთის ხელის კვრით და ყვირილით ნელ-ნელა გვერდით გაიწიეს, ვიშკიორებმა რაცია მოიმარჯვეს. როცა ორივე ვიშკიორი რკინის ღობეს ზურგით მიუბრუნდა, ჰაერში რაღაცამ გაიშხუილა. ჯარისკაცებმა მოიხედეს და ე.წ. ეკლესიის ზონის ეზოში უამრავი კბილის პასტა ეყარა და პატიმრები კრეფდნენ. ვიშკიორებმა მოჩხუბარი პატიმრებისკენ გაიხედეს, თუმცა ისინი მეგობრულად საუბრობდნენ და მაშინვე რაციაში ჩასძახეს: „რაღაც მოხდა, რეჟიმი“.

რეჟიმის უფროსი ლევან პაჭკორია მაშინვე ზონაზე გაჩნდა, თუმცა რეალურად არაფერი ხდებოდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა და მხოლოდ №0578 იღიმოდა უცნაურად. „კარცერში“, — გასცა ბრძანება პაჭკორიამ და პატიმარი №0578 მშვიდად გაჰყვა ოფიცრებს.

„რა ჩაიდინეთ?!“— კარცერში უკვე ზონის უფროსი, ლაშა ბრეგვაძე ჩავიდა. „არაფერი კანონსაწინააღმდეგო, უფროსო. ბიჭებს თაფლი უნდოდათ და როგორღაც უნდა მიგვეცა“, — გაუღიმა №0578-მა. „მერე გეთქვათ და თუ თაფლის გარდა არაფერი იყო, მე მივცემდი“, — უთხრა ბრეგვაძემ. „ეგეც ვიფიქრეთ, მაგრამ შენ ოფიცრებს დაავალებდი, ისინი კი ადგილამდე ნახევარსაც არ მიიტანდნენ და თავად ამოიყორავდნენ მუცლებს, როგორც ადრე ქნეს ხილზე და ეს შენც იცი“, — უთხრა №0578-მა.

საღამოს კარცერში კიდევ ერთი პატიმარი შეიყვანეს. 55-60 წლის იქნებოდა. შესვლისთანავე №0578-ს უთხრა, ჩემს ახლოს არ იტრიალო, ტუბზონიდან ვარ მოყვანილიო. დილით №0578 ლექსის ხმამ გაღვიძა: „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“...

„ესე იგი, შენ ხარ, ვისი ხმაც იმ დღეს გავიგე“, — გაუღიმა პატიმარმა, — „შექსპირი მოგწონს თუ მართლა მაგას ფიქრობ?!“

„ეგებ მომწონს კიდეც შექსპირი, მაგრამ მარტო ეს ფრაზა ვიცი და მართლა სიკვდილი მინდა. თავის მოკვლა არ შემიძლია. რელიგიური თვალსაზრისით არ ვამბობ, უბრალოდ, ნებისყოფა უნდა მაგასაც“, — თავი ჩაქინდრა მოხუცმა.

„ასეთი რა შეგემთხვა, სიკვდილი რომ გინდა?!“ — ჩაეკითხა №0578.

მკვლელობაზე ვზივარ. 3 წლის ბავშვი მოვკალი და იმის სული და სახე არ მასვენებს“, — მოხუცს ცრემლები მოადგა.

„3 წლის ბავშვი მოკალი და საქათმეში არ ხარ?! 3 წლის ბავშვი როგორ მოკალი, რა დაგიშავა?!“

„არაფერი დაუშავებია, თოფით მოვკალი“, — პატიმარი ბოლო ხმაზე ტიროდა, — ქორწილში მივდიოდით. გზად ტყის პირზე გავჩერდით. თოფები გვქონდა. ბოთლები ავყარეთ ჰაერში და ვესროდით. დაახლოებით ოც მეტრში ახალგაზრდა კაცი იდგა ცოლ-შვილთან ერთად. ბავშვისთვის გზას უწყენია და ჰაერზე ჰყავდა. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, ააგდეს შამპანურის ბოთლი... სავსე იყო, გაუხსნელი... ვესროლე. ალბათ წნევის გამო, ბოთლის ზედა მხარე იქეთ გაფრინდა და ბავშვს ყელში გაერჭო. ხელში ჩაგვაკვდა მე და მამამისს. ჩემი თოფი მივეცი, მომკალი-მეთქი, ვეხვეწებოდი, მაგრამ არ ქნა. იმ ბავშვის თვალები მესიზმრება ყოველ ღამე, ბოლოს რომ გამომხედა, უმანკო და სიკვდილჩასახლებული თვალებით“...

* * *

თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ ის მოხუცი თბილისში ნახა №0578-მა. ტაქსაობდა, ამბავი გამოკითხა და... მოხუცმა ისევ ტირილით უთხრა: „ყოველ დილით ავდივარ ზღვის სასაფლაოზე, იმ ბავშვის სადფლავზე, ყოველ დილით მიმაქვს ყვავილები. სიკვდილმა კი დამივიწყა ისევ და... ისევ მესიზმრება“.

სვანური კრეატივი პარლამენტში და პარლამენტსმილმა

რატომ ჩაცვეს სვანებმა თხას პამპერსი — ტურისტის თვალით დანახული საქართველო

გიორგი იაშვილი

ნაციონალების ზეობის პერიოდში, ნატო-ს სამიტი მიმდინარეობდა და როგორც გვპირდებოდნენ (ახლაც გვპირდებიან), მაშინ ჩვენთვის მაპ-ი უნდა მოეცათ. იმავე პერიოდში, ერთი ქართველი ცნობადი სახე მეოთხე თუ მეხუთე კაცს დაშორდა და ნატო-ს თემას ოცამდე კომენტარი ჰქონდა, იმ ქალის ამბავს კი ოთხასზე მეტი. ქართული სენია ეს, სახელმწიფოებრივად აზროვნება გვეზარება, არ გვინდა იმის მიუხედავად, რომ ყველა ქართველმა იცის პოლიტიკა და.. ფეხბურთი. ის ფეხბურთი, რომელიც 11 აგვისტოს იქნება საქართველოში, ნამდვილი ფეხბურთი და რომლის სანახავად ბილეთები შავ ბაზარზე იმაზე მეტი ღირს, რამდენიც პენსიონერის ერთი წლის პენსია საქართველოში.

გასული კვირის მთავარი თემა რუსეთში ნინო ბურჯანაძის ვიზიტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს „უნდა“ მერამდენედ გადაიფარა, სათვალავიც აგვერია. გამოვიდა ერთ-ერთი პარლამენტარი და იბიარდზე ისეთები ილაპარაკა, ყველა და ყველაფერი დაჩრდილა. ახლა მეტყვით, რაღა ერთ-ერთი პარლამენტარი, პირდაპირ სოსო ჯაჭვლიანი დანერეო, მაგრამ იცით, როგორ არის? საფრანგეთში, ჟურნალ „შარლის“ რედაქციაში რომ შეიჭრნენ ტერორისტები და მერე ლამის მთელი მსოფლიო ამბობდა, მე ვარ „შარლიო“, ისეა აქაც — პარლამენტარებს თავისუფლად შეუძლიათ, გამოვიდნენ და ხელში დაიჭირონ ფურცელი წარწერით: „მე ვარ სოსო“ ან უკეთესი — „მე ვარ იბიარდი“.

ის, რომ სოსო ჯაჭვლიანმა არ იცის, რა არის იბიარდი, არ არის დანაშაული იმიტომ, რომ ჯაჭვლიანი არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი და ვერც ვერასდროს იქნება. ჩემი და ჩემი თაობის ხალხის მეხსიერებაში ის „ნატვრის ხის“ პერსონაჟად, გედიად შემორჩა და ვგონებ, არც გედიაა ვალდებული, იცოდეს რა არის იბიარდი. რაც შეეხება ათი მანეთის გარეშე რაღაცების მოხერხებას, ეგ უკვე საინტერესოა და მე თუ მკითხავთ, ფსიქოლოგების სამუშაო უფროა, ვიდრე სხვადასხვა საიტზე კომენტარების დამდები ადამიანებისა. ვიცნობ სოსოს და მეორე დღეს რომ თქვა, ვიღადავეო, არ არის სიმართლე. იმიტომ არ არის სიმართლე, რომ სოსო სხვანაირად ღადაობს, ხანდახან რომ უნდა გაგეცინოს და ხანდახან არა, დაახლოებით ასე და ეს ღადაობა არ იყო. ეს იყო მცდელობა საკუთარი ცოდნისა და პრინციპულობის წარმოჩენისა, პოლიტიკოსობის მცდელობისა და სწორედ ეს პოლიტიკოსობის მცდელობა დასრულდა ზუსტად ისე, როგორც „ნატვრის ხეში“ გედია ასრულებს თამაშს.

თამაშზე გამახსენდა და ასე მგონია, ნინო თამაშობს. ბურჯანაძეზე მოგახსენებთ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს მარგარეტ ტეტჩერობაზე რომ ჰქონდა პრეტენზია და საბოლოოდ, ლუბოვ სლისკას „ბრიუნეტი“ ვარიანტი შეგვრჩა ხელში. სოსოს გადამკიდე, ბურჯანაძის ვიზიტი და რუსთა მინდორზე კვერცხის გორება არავის გახსენებია და ტელევიზიებმაც ისე ნაუყრუეს ამ ამბავს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ჯაჭვლიანის გაგებით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილი იბიარდი იქ იყო თუ იყო. და ზოგადად, ის, რაც შიდა ქართლში ხდება, რაც ზოგადად ქართულ პოლიტიკაში ხდება, იბიარდი კი არა, ჯაჭვლიანმა რისი მნიშვნელობაც ზუსტად იცის, ის რომ უძახოს, არ გამიკვირდება. მე ის უფრო მიკვირს, პარლამენტში „ჯაჭვლიანების“ შემყვანი კაცი რატომ არ გამოდის და რატომ არ ამბობს ხმამაღლა, შემეშალა ხალხო, ნუ მიწყენთ და მაპატიეთო, მაგრამ ამბობენ, იმ კაცმა წინასწარ იცოდა, ქვეყანას პური რომ გაუჭირდებოდა და ამიტომ, აქცენტი სანახაობაზე გააკეთაო. სანახაობას კი პარლამენტარი ჯაჭვლიანები იმდენს ქმნიან, თქვენი მოწონებული და თუ ასე გაგრძელდა, სერიოზული ეჭვი მაქვს (და არა მარტო მე), სანახაობის სანახებლად ხალხიც გამოვა ქუჩაში. ჰო, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბევრმა ჯაჭვლიანის განცხადება სვანობას დააბრალა. სიმართლე გითხრათ, სვანების კრეატივში კიდევ ერთხელ გასულ კვირას დავრწმუნდი, თუმცა ამით იმას არ ვამბობ, რომ სოსოს განცხადება იყო კრეატიული.

მოკლედ, გასულ კვირას ერთი რუსი გოგონა გავიცანი. იმის მიუხედავად, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად იმეორებენ, საქართველოში ტურისტი სანთლით საძებარი გახდაო, არც ისე საგანგაშოა მდგომარეობა. ავად თუ კარგად, ტურისტული სეზონი მიდის და თავგადასავლების მაძიებლები საქართველოში ხალისით მოდიან. სწორედ მათ შორის იყო სანკტ-პეტერბურგელი მაია, რომელსაც საქართველო მამამ შეაყვარა და ჩვენ ქვეყანაში საოცარი მოგზაურობა ფურცელზე გადაიტანა. ეს ამბავიც მან მომიყვა: „მამა ხშირად მიყვებოდა საქართველოზე და მის ერთ-ერთ კუთხეზე განსაკუთრებით აბოდებდა. ისე არ წახვიდე ამ ქვეყნიდან, სვანეთი არ ნახოო, დამიბარა და მეც სხვა რა გზა მქონდა, გეზი საქართველოსკენ ავიღე და ვაგზლის მოედანზე მშვიდად დავდექი სვანეთის „მარშუტკის“ მოლოდინში. ამ დროს ავტომანქანა გაჩერდა, საიდანაც სამი სანდომიანი შუახნის მამაკაცი გადმოვიდა, რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდნენ და რომ ვერ იპოვეს, თავისთვის თქვეს, წავედით სვანეთშიო. ჩემს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში წამოსვლამდე რუსულ-ქართულ ლექსიკონს ჩავუჯექი და ცოტა ქართული ვისწავლე. მაშინვე მივედი მათთან და რუსულად ვკითხე: „სვანეთში მიდიხართ?!“

მათ ჯერ ერთმანეთს გადახედეს, თითქოს პასუხისთვის ნებართვას ერთმანეთისგან ითხოვდნენ, მერე ამათვალიერეს. ცუდად ნამდვილად არ გამოვიყურები, სახეც სანდომიანი მაქვს და ხალისით დამითმეს წინა სავარძელი. დავიძარით და გზაზე დამტვრეული რუსულით მესაუბრებოდნენ, ხან ხუმრობდნენ, ხან იცინოდნენ, ძველ ამბებს იხსენებდნენ და... მანდ ვკითხე, სვანებზე ძალიან ბევრი ანეკდოტი ყოფილა-მეთქი. არ შეიმჩნიეს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ცოტა ეწყინათ. არა, ეგ მოარული ხმებია, თორემ სინამდვილეში სხვანაირები ვართო. ასე მივედით ზუგდიდამდე და იქ გადაწყვიტეს, თხა ეყიდათ. სალოცავში უნდა შევწიროთო და მოზრდილი თხა იყიდეს. უცებ მანქანის მეპატრონე გაჯიუტდა, ამ თხას მე მანქანაში არ ჩავსვამ, გამისვრის და სუნი არ გავა მთელი თვეო.

დაიწყეს ბჭობა, რა ექნათ და როგორ აეყვანათ თხა ისე, რომ მანქანა არ გაესვარა. მოულოდნელად ერთ-ერთს სახე გაუნათდა და სვანურად უთხრა რაღაც. ისინი დაეთანხმნენ და აფთიაქში წავიდნენ. რა უნდათ აფთიაქში? გავიფიქრე და ვერაფრით მივხვდი. გამოვიდნენ იქიდან, ამოიღეს უზარმაზარი პამპერსი და თხას ამოაცვეს. ჩემს გარდა, ირგვლივ მყოფი ადამიანები გაოცებულები უყურებდნენ, როგორ აცმევდა სამი კაცი სერიოზული სახით პამპერსს თხას. ჩასვეს თხა საბარგულში და სვანეთში როცა გახსნეს, თხა პატიოსანი თვალებით იყურებოდა. მანქანა გასვრილი არ იყო, პამპერსი კი თავის ადგილას გახლდათ...

სვანეთიდან მალე დავბრუნდი და გზა უკვე „მარშუტკით“ დავფარე. გზად ერთი სვანი ბიჭი გადამეკიდა, სურდა, თავი ძალიან ჭკვიანად წარმოეჩინა, მაგრამ სისულელეებს ამბობდა. ბოლოს თქვა, საქართველოში ტურისტები რომ მომრავლდნენ, ბუდისტური პლაჟი უნდა გაკეთდესო. ჯერ ვერ მივხვდი, რას ამბობდა, როცა ვკითხე, ამაყად გადმომხედა? ბუდისტური პლაჟი არ იცი, რას ნიშნავს? შიშვლები რომ დადიან, რა... და თან ჩემი მკერდი ხარბად შეათვალიერა. მივხვდი, სვანებზე ყველაფერი თუ არა, დიდი ნაწილი მაინც სიმართლეა და... გაისადაც აუცილებლად ჩავალ სვანეთში“.

„m² იპოდრომთან 2“-ში ბინების დაჯავშნა უკვე დაიწყო

დეველოპერულმა კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ ახალი პროექტი წარადგინა და მომხმარებელს შესთავაზა ახალი საკრედიტო პროდუქტი ბინის შესაძენად, 1 წლამდე საშეღავათო პერიოდით

დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“ მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეებს სთავაზობს — კომპანია, „m² იპოდრომთან 2“-ის მშენებლობას და ამ კომპლექსში ბინების წინასწარ გაყიდვას იწყებს. სამშენებლო კომპლექსი, რომელიც საბურთალოზე, კარტოზიას ქუჩა 10-ში, 14,079 კვ.მ-ზე გაშენდება, 3 კორპუსსა და 819 ბინას მოიცავს. m² ტრადიციას არც ამჯერად უღალატებს და მფლობელებს ბინებს დასრულებული რემონტით, ჩაშენებული იტალიური სამზარეულო ავეჯითა და ტექნიკით ჩააბარებს. ბინების მოსაპირკეთებლად გამოიყენებენ ცნობილი ევროპული ბრენდების მიერ წარმოებულ სარემონტო მასალებს. სადარბაზოები აღჭურვილი იქნება თანამედროვე მაღალი ხარისხის ლიფტებით. კომპლექსში გათვალისწინებულია ყველა ბინაზე გათვლილი 3-დონიანი ავტოსადგომი. „m² იპოდრომთან 2“-ის ტერიტორიაზე განთავსდება თანამედროვე დიზაინის 2-სართულიანი საბავშვო ბაღი, რომელიც ამ და „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის ბინადარ პატარებს მოემსახურება. ეზოში განთავსებული იქნება რამდენიმე სარეკრეაციო და დასასვენებელი ზონა ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, გათვლილი როგორც აქტიური, ასევე მშვიდი დასვენებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე იქნება კომერციული სივრცეც, სადაც გაიხსნება მომავალი მაცხოვრებლებისთვის საჭირო სავაჭრო და მომსახურების ობიექტები.

„m² იპოდრომთან 2“-ის პრეზენტაცია, m²-ის გალერეაში მოეწყო. „m² უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის, ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ აღნიშნული კომპლექსის მშენებლობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „m² იპოდრომთან“ სამშენებლო კომპლექსში ბინებზე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა. ამ უკანასკნელში ყველა ბინა უკვე გაყიდულია. „m² იპოდრომთან 2“-ში კი, ბინების დაჯავშნა დაიწყო. ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, კარტოზიაზე, სამშენებლო კომპლექსში, 36კვ/მ-დან 170 კვ/მეტრამდე ფართობის ბინები განთავსდება. შესაბამისად, სასურველი ბინის შერჩევას ნებისმიერი გემოვნებისა და საჭიროების მქონე ადამიანი შეძლებს, საკმაოდ მისაღებ ფასად — მაგალითად, 2-საძინებლიანი ბინის შეძენა დასრულებული რემონტით, ჩაშენებული სამზარეულოს ავეჯითა და ტექნიკით, 39,996 აშშ დოლარიდან არის შესაძლებელი. კომპლექსში „m² იპოდრომთან 2“ ბინის შეძენის მსურველებს, შესაძლებლობა აქვთ წინასწარ დაჯავშნონ მათთვის სასურველი ბინა განსაკუთრებით დაბალ ფასად, მხოლოდ სექტემბრის ბოლომდე, სანამ გაყიდვები ოფიციალურად დაიწყება.

ირაკლი ბურდილაძე: „იმის გამო, რომ „m² იპოდრომთან“ სამშენებლო კომპლექსში, ყველა ბინა გაყიდულია და მოთხოვნა ძალიან დიდია, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ კომპლექსის გვერდით ახალი სამშენებლო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. 819-ივე ბინა, დასრულებული რემონტით, ჩაშენებული სამზარეულოს ავეჯითა და ტექნიკით ჩაბარდება. ბუნებრივია, ეს კომპლექსიც იქნება ენერგოეფექტური, რაც ჩვენს მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემს, კომუნალურ გადასახადებში დაახლოებით 20-25% დაზოგონ. m² თავის კლიენტებს, მისაღებ ფასად, მაქსიმალურ კომფორტს უქმნის“. მაქსიმალური კომფორტის ფარგლებში, დეველოპერული კომპანია მომხმარებელს კიდევ ერთ სიახლეს სთავაზობს — „საქართველოს ბანკთან“ ერთად, კომპანიამ განსაკუთრებული და უნიკალური საკრედიტო პროდუქტი შეიმუშავა იმ კლიენტებისთვის, რომლებსაც ბინების შეძენა სურთ 4 მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში: „m² ნუცუბიძეზე“, „m² ყაზბეგზე“, „m² თამარაშვილზე“, „ოპტიმა ისანი“. შეთავაზება, რომელიც გულისხმობს საშეღავათო პერიოდს 1 წლამდე, განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვისაც სურს ბინის შეძენა, მაგრამ თავს იკავებდა იპოთეკური სესხის აღებისგან, რადგან: იხდიდა ბინის ქირას, ან სურს არსებული ბინის გაყიდვა, ან ვერ აგროვებს პირველად შენატანს, ან არ ყოფნის უზრუნველყოფა, ან უბრალოდ სურს შეიძინოს ახალი ბინა და გააქირაოს იგი. **ირაკლი ბურდილაძე: „m²-მა „საქართველოს ბანკთან“ ერთად შეიმუშავა ახალი იპოთეკური სესხის პროდუქტი. ვისაც სურს, ბინა შეიძინოს იმ კომპლექსებში, რომლებსაც მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვამთავრებთ, უნდა აიღოს იპოთეკური სესხი „საქართველოს ბანკში“. იპოთეკური სესხით შეძენილი ბინის საფასურის გადახდა, შესაძლებელია ბინის ჩაბარების შემდეგ. ასეთი ინოვაციური დაკრედიტების პირობის შეთავაზებით კომპანია ცდილობს მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ახალაშენებული ბინის შეძენა“.**

ნინო ლურსმანაშვილი

რეპერი ქველა „გარყვნილების დილემის“ წინააღმდეგ

რა მიაჩნია მწარე რეალობად და რატომ აპირებს არასამთავრობო ორგანიზაციის ამუშავებას გიორგი ქველაძე

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

არცთუ უდარდელი წარსული, პოლიტიკა, ალკოჰოლი, ციხე... და რეპით, საკუთარი მოთხრობებითა თუ ნახატებით გალამაზებული უკეთესი მომავლის იმედი — ასეთია საჩხერელი რეპერის, გიორგი ქველაძის, იგივე ქველას ბეგრაუნდი... და მიუხედავად იმისა, რომ რეპი საქართველოში ნაკლებად პოპულარულია, მიიჩნევს, რომ ის საუკეთესო საშუალებაა, შეიგრძნო თავისუფლება და სათქმელიც ბოლომდე თქვა. — რეპი ბავშვობიდან წამოვიდა ჩემში, თავისუფლების განცდა, რასაც გრძნობ თუ განიცდი, შეგიძლია რეპში წარმოაჩინო, თორემ ვინმეს კი არ ვბაძავ... საერთოდ, ადამიანების გაფეტიშება ჩემთვის მიუღებელიაო, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას და დასძენს, რომ ასე უფრო ადვილია, სათქმელი მსმენელამდე მიიტანო.

სათქმელი კი ქველას უხვად დაგროვებია: **„28 წლის ვარ და არც დალხენილი ცხოვრება მაქვს, თუმცა უბედურადაც არ მივიჩნევ თავს“.**

ოპტიმიზმსა და უკეთესი მომავლის იმედს კი არც ციხეში გატარებული წლების გამო კარგავს და აღნიშნავს — შეცდომას ყველა უშვებსო... არადა, როცა საყაჩაღოდ წავიდა, ოცის მაგივრად, 40 ლარი მისცეს და მანაც უყოყმანოდ „დააბრუნა ხურდა“... იყო თუ არა რამდენიმეწლიანი სასჯელი დანაშაულის ადეკვატური, ეს საუბრის სხვა თემაა, თუმცა ფაქტი ერთია — პატიმრობა ნაციონალური ხელისუფლების პერიოდში მოუწია და ამბობს, რომ არაერთხელ უნახავს რეჟიმის სისასტიკე: **„...საკუთარ თავზეც არაერთხელ განმიცდია ეს სისასტიკე... კარანტინის დაშლასაც შევსწრებივარ... გიჟებიც კი მყოლია საკანში, რომლებიც სპეციალურად არ გადაყავდათ სამედიცინო დაწესებულებაში, ეგონათ, ტყუოდნენ... არადა გიჟს რას გააგებინებ“...**

ქველასთვის არც ციხის შემდგომ საკუთარი თავის რეაბილიტირება იყო ადვილი, თუმცა ძლიერმა ფსიქიკამ სასოწარკვეთის საშუალება არ მისცა.

„თავიდან ცოტა მიჭირდა ადაპტირება, ახალგამოსულზე განვიცდიდი, ასეთ სისასტიკეს რომ უყურებ, ძნელია მერე დავიწყება... ფსიქოლოგიურად ვინც არ იყო ძლიერი, შეშლილა კიდეც...“ — იხსენებს ციხეში გატარებულ პერიოდს და დანამდვილებით იცის, რომ ეს უკვე წარსული ეტაპია: **„არც მანამდე მქონია პრობლემა კანონთან და არც ახლა მაქვს... უბრალოდ, მაშინ ავირიე, ვსვამდი... ხომ იცით, როგორ ხდება — ვინც ბევრს სვამს, ორგანიზმი ვეღარ უძლებს და ათას სისულელეს სჩადიან“.**

არადა მაშინდელი ხელისუფლებისთვის ქველას დაპატიმრება შესანიშნავი საშუალება იყო, პოლიტიკასთან შეხება გაეხსენებინათ და მაშინდელი პრეზიდენტის კარიკატურები სათითაოდ ედინათ ცხვირიდან ძმრად: **„მაშინ ერთიან ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ვიყავი და არაერთი პოლიტიკური შინაარსის კარიკატურაც დამიხატავს... სასამართლოზე ესეც გამახსენეს... დღეს არანაირ პოლიტიკურ ძალასთან არ მოვიაზრები, უბრალოდ მინდა, ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული მოძრაობა მომავლისათვის“ ავამუშაო, რომელიც მომავალ თაობაზე იზრუნებს... ისინი არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, ქვეყანაში უმუშევრობაა, ბიჭი გოგოს ნაყინზეც ვერ ეპატიჟება იმიტომ, რომ სამსახური არ აქვს და ამ ფონზე ზოგი სვამს, ზოგი ნარკოტიკს ეძალება, ფსიქოტროპული მედიკამენტების აქტიური მომხმარებლები გახდნენ...“,** — ამბობს გიორგი ქველაძე და გული წყდება, რომ ამ მხრივ სახელმწიფოს პოლიტიკა მეტად სუსტია **„მხოლოდ კანონის გამკაცრება არაფერს შველის, პირადად შემიძენია ფსიქოტროპული საშუალება აფთიაქში და არცთუ შორეულ წარსულში“.**

ალბათ სწორედ ესაა მიზეზი, რომ რეპერი სიმღერებში ქვეყანაში არსებულ ქაოსსა და მარაზმს ხშირად ახსენებს, ქველას თვალით დანახული ქაოსი კი ასეთია: **„მარაზმი და ქაოსი რომაა, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა... ახალგაზრდა თაობაც ხელიდან მიდის, უხვევს სწორი გზიდან... კი მისასალმებელია ტრაგედიის დროს ერთიანობა, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. დეგრადირებულ ახალგაზრდობას კი ვერაფერს უშველი... ჩემთვის მიუღებელია, 13-14 წლის გოგონები საცურაო კოსტიუმებში სელფს რომ იღებენ, ფოტოებს სოციალური ქსელით ავრცელებენ.. მერე ვიღაც შეაცდენს და ატყდება ვიშვიში.. შეიძლება ვიღაცისთვის ძველმოდურად ვაზროვნებ, მაგრამ ეს სამწუხარო რელობაა...“,** რომელსაც კიდევ ერთი პრობლემა „გარყვნილების დილემა“ ემატება: **„გარყვნილებაა, 13 წლის ბავშვს ხუთი შეყვარებული რომ ჰყავს გამოცვლილი და მერე ტირის, ვაიმე, გული მეტკინაო... ან ამდენი ლგბტ პირი თუ იყო საქართველოში, ვერ წარმოვიდგენდი! ამბობენ ავადმყოფები არიანო და დალაგებული რომ ვერაა მათი აზროვნება, ფაქტია...“,** — ასეთია რეპერი ქველას პოზიცია, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად ჰომოფობი ნამდვილად არ არის: ჩემთვის ყველა ადამიანი მისაღებია, ვცდილობ შეურაცხყოფა არავის მივაყენოო, — დასძენს და მიუხედავად იმისა, მის რეპში აგრესია იგრძნობა, განმარტავს, მორწმუნეა და რაზეც საუბრობს, მხოლოდ და მხოლოდ ქართული რეალობაა: **„ციხეში რწმენამ გამაძლებინა, ორი წელი ლოცვაში გავატარე... ადამიანი როცა განსაცდელშია, უფრო უახლოვდება ღმერთს. „კელიაში“ ვცხოვრობდი საპატიმროში, ნაჭერზე ხატებს ვწერდი, თუ შეიძლება ასე ვუწოდო... თუმცა ბოლო დროს ცოტა დავშორდი ამ მდგომარეობას... რაც შეეხება აგრესიას, ჩემს რეპში ის ნამდვილად არ არის... როგორც ცუდისკენ ვიხედები, ისე კარგისკენ... ეს უფრო რეალობაა, ვიდრე ვინმეს ლანძღვა“.**

გასაპროტესტებელი კი ქართველ რეპერს ბევრი აქვს, წუხს, ქვეყანა ამ მდგომარეობაში რომაა და რუსეთს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს მაგრამ — **„... ჩემთვის რუსეთი ოკუპანტია და ეს მცოცავი ოკუპაციაც საშინელებაა, მაგრამ რუსეთი ძალიან დიდი სახელმწიფოა, რომელსაც ანგარიშიც უნდა გაუწიო და არ გააღიზიანო. ფაქტია — რუსეთს ვერც ბრძოლით და ვერც სიტყვით, ვერასოდეს მოვუგებთ“,** — ამბობს ქველა და უკეთესი მომავლის იმედს იტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ „რეპი პროფესიად არ გაუხდია“, თავისი ნახატებითა თუ მოთხრობებით წარმატებებს რომ მიაღწევს, სჯერა, თუმცა იცის — დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან და საქართველოში ხალხს გარდაცვალების შემდეგ უფრო აფასებენ ვიდრე სიცოცხლეში.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიო მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესია. პროგრესი ასახულია როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხითაც. ანგარიში აჩვენებს, რომ გამოძიებების რაოდენობა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაზრდილია 45%-ით, სისხლისსამართლებრივი დევნის — 65%-ით, ხოლო სასამართლოს განაჩენების რაოდენობა — 65%-ით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ ითვალისწინებს საკმაოდ მკაცრ სანქციებს ტრეფიკინგის დანაშაულისთვის, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ანგარიშში ასახულია პროგრესი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის კუთხითაც, რაც მოიცავს სახელმწიფო ფონდის მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა სერვისს, როგორიცაა: თავშესაფრით უზრუნველყოფა; ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება; მატერიალური კომპენსაცია და სხვ. საუბარია იმაზეც, რომ საქართველოში პრევენციული ღონისძიებები საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება, რაც გულისხმობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა კომპლექსური საშუალებით (სატელევიზიო და რადიოგადაცემები, საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, პირისპირ შეხვედრები). პოზიტიურად არის შეფასებული ამ პროცესში არასამთავრობო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა. ხაზგასმულია, ასევე, იუსტიციის სამინისტროს მნიშვნელოვანი როლი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის საწარმოებლად არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით. დადებითად შეფასდა უწყების მიერ ამ ღონისძიებების საწარმოებლად გასაცემი ყოველწლიური საგრანტო პრაქტიკა.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული პროგრესი არის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ეფექტური მუშაობის შედეგი, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები და რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ანგარიშში ასახული პროგრესი განაპირობა ღონისძიებებმა: შსს-ის ინსპექტირების სპეციალური მობილური ჯგუფების ეფექტური მუშაობის შედეგად, რომლებიც სისტემატურად ამოწმებენ მაღალი რისკის მქონე ადგილებს, პრაქტიკულად, დაიწყო გამოძიება ტრეფიკინგის არაერთ ფაქტზე; ნაყოფიერად მუშაობს პროკურორებისა და გამომძიებლებისგან დაკომპლექტებული სპეციალისტების ჯგუფი (თასკ ორცე), რომლის კოორდინირებული მუშაობის შედეგად დაწყებული გამოძიებების უმეტესობაზე ხდება ბრალის წაყენება და საქმის სასამართლოში გადაგზავნა; შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შედეგად ექსპლოატაციის დეფინიცია გახდა უფრო ცხადი და ადვილად გამოყენებადი როგორც სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ისე მოსამართლეებისთვის; წარმატებით ხორციელდება ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები საბჭოს მიერ შემუშავებული ერთიანი საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რაც უნიკალურია ჩვენს რეგიონში; ტრეფიკინგის წინააღმდეგ საქმიანობაში აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; იუსტიციის სამინისტროს მიერ 2014 წელს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაცემული გრანტის საფუძველზე აჭარის რეგიონში განხორციელდება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, ხოლო 2015 წელს გრანტი გაიცემა ორ ორგანიზაციაზე, რომლებიც ღონისძიებებს განახორციელებენ აჭარისა და იმერეთის რეგიონებში; აგრეთვე, აქტიური თანამშრომლობა გრძელდება პარტნიორ სახელმწიფოებთან როგორც საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, ისე სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიმართულებით.

„ინტერპრესნიუსი“

რა ელის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას

ზურაბ ჭიაბერაშვილი

ლარის დევალვაციის, ეკონომიკის გაჩერებისა და ფასების ინფლაციის ფონზე, მილიარდერი ივანიშვილის მთავრობა დიდი პრობლემის წინაშე დგას: მან, ერთი მხრივ, ბიუჯეტის სეკვესტრი უნდა განახორციელოს, მეორე მხრივ კი დამატებითი სახსრები უნდა მოიძიოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისათვის, რომელიც უფრო და უფრო მეტ ფინანსებს იწოვს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე 30 ივნისამდე 236 მლნ ლარი უნდა დახარჯულიყო. ივნისის დასაწყისში, პროგრამის საკასო ხარჯი უკვე 233 მლნ იყო, ანუ ჯანდაცვის სამინისტრომ 6 თვის დასახარჯი 5 თვეში გახარჯა. საბოლოოდ, 6 თვის ხარჯმა 268 მლნ ლარი შეადგინა — დაგეგმილზე 32 მლნ ლარით მეტი. და ეს მხოლოდ საკასო ხარჯის მიხედვით.

ფართო საზოგადოებისათვის უცნობია რეალური ხარჯის ოდენობა, ანუ კლინიკებმა, სულ რა მოცულობის ვალდებულებები წარუდგინეს სამინისტროს ასანაზღაურებლად.

საყოველთაო ჯანდაცვაზე 2015 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 475 მლნ ლარი, ანუ თვეში 475:12=39,6 მლნ ლარი. სინამდვილეში იხარჯება 46 მლნ ლარი. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლოს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას სხვა წყაროებიდან, მინიმუმ 80 მლნ ლარი უნდა დაამატონ.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოსახლეობის გაღარიბებამ ჯანდაცვის სამინისტროს ფინანსებს სხვა მხრიდანაც შეუტია. მოქალაქეებს სულ უფრო უძნელდებათ საკუთარი ჯიბიდან თანადაფინანსების გადახდა და ამიტომ მიმართავენ ჯანდაცვის მინისტრს, რომელიც ასევე განკარგავს პროგრამას — „რეფერალური მომსახურება“. ეს პროგრამა სამინისტროს მიერ ინდივიდუალური მიმართვების განხილვას და დაფინანსებას ითვალისწინებს. მისი 8,7 მილიონლარიანი ბიუჯეტიც, 6-ის ნაცვლად, 5 თვეში გაიხარჯა.

მოქალაქეების ჯიბეზე აისახა სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუარესებაც. შუახევის კლინიკის ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც დაჭრილ ახალგაზრდას ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ჩაუტარდა, აისბერგის ხილული ნაწილია.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უფრო დეტალური ანალიზი ავლენს, რომ 2014 წელს პროგრამაზე 340 მლნ ლარი დაიხარჯა და აქედან თითქმის 2/3 – 220 მლნ დაიხარჯა თბილისში. ეს ნიშნავს, რომ რაიონული საავადმყოფოების ჰოსპიტალურ ნაწილში ბრუნვა შემცირდა. შესაბამისად, მათ ვეღარ შეინახეს რეანიმატოლოგი, ანესთეზიოლოგი და მივედით იქამდე, რომ რაიონული საავადმყოფოები მხოლოდ ამბულატორიებად გადაიქცა. მე არ ვამბობ, რომ რაიონულ საავადმყოფოში ურთულესი ნეიროქირურგიული ოპერაციები უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან სწორი პოლიტიკისა და მართვის პირობებში, გარკვეული სამედიცინო სერვისების ადგილებზე შენარჩუნება და განვითარება შეიძლებოდა და ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ეს ვითარება, რა თქმა უნდა, პაციენტის ჯიბეს დააწვა. შუახევიდან იგი ბათუმში, ქუთაისში ან თბილისში უნდა წავიდეს ისეთი დაავადების სამკურნალოდ, რომლის მკურნალობა, 2010 წლიდან უკვე ადგილზევე შეიძლებოდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მან შეიძლება თანადაფინანსება კი მიიღო, მაგრამ მთლიანი ხარჯი მაინც გაეზარდა (ტრანსპორტი, სხვა ქალაქში ცხოვრება). ყველა ავტორიტეტული კვლევა მიუთითებს, რომ რეგიონებში, გაჭირვებულ ადამიანებს, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, ფინანსური თვალსაზრისით, გაუუარესდათ.

ამ ტენდენციამ ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს კიდევ ერთი მიმართულებით შეუტია. 5 თვეში ასევე თითქმის სრულად გაიხარჯა პროგრამის „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“ 6 თვის ფინანსები. მიზეზი იგივე: რაიონებში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მოშლა იწვევს რეგიონულ კლინიკებსა და თბილისში პაციენტთა გადაყვანის შემთხვევების ზრდას.

ზემოაღნიშნული ფაქტორები იმ მიზეზების მხოლოდ ნაწილია, რომელთა გამოც, სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში პრაქტიკულად არ იცვლება, იმის მიუხედავად, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და სხვა, მასთან დაკავშირებული პროგრამები უფრო და უფრო მეტ ფინანსურ რესურსს ითხოვს. მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ინფლაციის პირობებში ხარჯი ისევ და ისევ მოქალაქის ჯიბეს აწვება.

მთავრობის პოლიტიკამ გამოიწვია ლარის იმაზე მეტად დევალვაცია, ვიდრე მხოლოდ საგარეო ფაქტორების შემთხვევაში მოხდებოდა. ამან ახალი ბიძგი მისცა ზოგადად ინფლაციას, რაც უკვე მანამდე იყო საგრძნობი ჯანდაცვის სექტორში. ეს ნიშნავს, რომ დღეს პაციენტი ჯიბიდან უფრო მეტს ამატებს მთავრობის თანადაფინანსებას, ვიდრე ამატებდა გუშინ.

მთავრობამ კი, არათუ გაუზარდა კლინიკებს დაფინანსება, არამედ კრიტიკულ მედიცინაზე, პირიქით, შეუმცირა. ისევ და ისევ იმის გამო, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ფული აღარ ჰყოფნის. ამან კი კიდევ უფრო გააღრმავა ის პრობლემა, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდი: სულ უფრო იკარგება გადაუდებელი მედიცინის პოტენციალი რაიონულ საავადმყოფოებში.

დავით სერგეენკომ „გამოსავალი“ რაიონული საავადმყოფოების ნაციონალიზაციაში იპოვა. მას ჰგონია, რომ ამ საავადმყოფოებში შექმნილი მდგომარეობა „ხარბი კერძო ინვესტორების“ ბრალია, რომელსაც მის მიერ დანიშნული მთავარი ექიმი გამოასწორებს. არადა საქმე პირიქითაა: ეს საავადმყოფოები, რომელიც აშენდა, გარემონტდა და მომგებიანიც იყო, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ გახდა წამგებიანი.

შესაბამისად, სახელმწიფო თავის თავზე უფრო მეტ და მეტ ტვირთს იღებს, ოღონდ იმ პირობებში, რომ მას ფულის რესურსი სულ უფრო უმცირდება. ამას პირდაპირ მივყავართ კარგად ნაცნობ 90-იან წლებთან, როცა მიზნები დიადი და ნათელია, საჭირო რესურსები კი პრაქტიკულად ნადგურდება და ნიავდება.

რადგან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ივანიშვილის ხელისუფლების პრესტიჟის საქმეა, ყველა რესურსი, რაც კი მთავრობამ შეიძლება გამონახოს, მას მოხმარდება. ამ დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებში არათუ თანხების კლება, არამედ სტაგნაციაც კი კონკრეტულ დარგებს მძიმე შედეგებით ემუქრება.

ღარიბი ქვეყნის მთავრობა, რომელსაც ეკონომიკა ისედაც უფსკრულისკენ მიჰყავს, ყველა ხარჯს ვერ გასწვდება. ამიტომ ღარიბი ქვეყნის მთავრობა უნდა ცდილობდეს, ფული ყველაზე გაჭირვებულებზე დახარჯოს. დღეს დავით სერგეენკო ფულს მდიდარზეც და ღარიბზეც თანაბრად ხარჯავს და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ამით ძალიან არახარჯთეფექტურს ხდის.

მთავრობა ერთი ხელით თუ 10 ლარს გვაძლევს სხვადასხვა პროგრამებით (მაგალითად, უფასო-ხვნა თესვა), მეორე ხელით 20 ლარს გვართმევს, რადგან სწორედ ამ არახარჯთეფექტურმა პროგრამებმა მიიყვანა ქვეყანა საბიუჯეტო დეფიციტის ზრდასთან და ეკონომიკური გარემოს გაუარესებასთან.

მთავრობამ უნდა შეწყვიტოს დეფიციტური ხარჯვა, ლარი დასტაბილურდეს, ინვესტიცია შემოვიდეს და სამუშაო ადგილები შეიქმნას. მთავრობამ კი არ უნდა გადაწყვიტოს, მოქალაქე როგორ მოიქცეს (მათ შორის, როცა მკურნალობა სჭირდება), არამედ ისეთი გარემო შექმნას, როდესაც მოქალაქეს შემოსავალი უჩნდება და თავის ბედს, თავის ცხოვრებას თავად განსაზღვრავს.

ვერსიანიუსი

თურქეთში ანტიტერორისტული ოპერაციების შედეგად 1050 ადამიანია დაკავებული

თურქეთის მთავრობის აპარატის ინფორმაციით, თურქეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში დაკავებული ადამიანების რიცხვი 1050-ს შეადგენს.

ანტიტერორისტული ოპერაცია თურქეთის 34 პროვინციაში მიმდინარეობს. დაკავებულები არიან პირები, რომლებიც რაიმე სახით არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში. ორი დღის წინანდელი ინფორმაციით, დაკავებულთა რაოდენობა 600 იყო.

თურქეთის ხელისუფლებამ გასულ პარასკევს „ისლამური სახელმწიფოსა“ და ქურთთა მუშათა პარტიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები დაიწყო.

„ინტერპრესნიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲐ ᲬᲘᲐᲡ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				5	2			7
		1			6	5		
	8	7			1		9	
								9
	5	9				7	1	
1								
	2		1			4	5	
		4	2			6		
6			8	4				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

				3				
		8			7	6		
		3		5			2	
	5		1				3	9
3		1	7		9	8		5
6	9				5		7	
	8			9		1		
		2	4			3		
				6				

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5		9	2			8	
6				8			7	
8				6	1	3		
3		8						9
		2		5		6		
7						2		8
		6	7	4				5
	8			9				3
	7			3	8		6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7			6				8	1
	4	6		7		5		2
5								
		5	3				4	
	1		9		7		5	
	8				4	2		
								5
1		4		9		6	7	
9	3				6			4

ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ამერიკელმა მკვლევარებმა ოჰაიოს უნივერსიტეტიდან დაამტკიცეს, რომ ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. სიმსუქნე კვლავ საშიშ დაავადებად რჩება, მაგრამ თუ 50 წლის ასაკში ადამიანს ზედმეტი კილოგრამები აქვს, ეს აძლევს შანსს, 15 წლით მეტხანს იცოცხლოს თანატოლებთან შედარებით, რომელთაც იდეალური წონა აქვთ. მეცნიერები ამ მოვლენას სტაბილურობით ხსნიან. ადამიანები, რომლებიც მუდმივად წონის კორექციით არიან დაკავებულები, საკუთარ ორგანიზმს სტრესის ქვეშ აყენებენ. ამას ვერ ვიტყვით მათზე, ვინც სტაბილურ წონას ინარჩუნებს. რისკის ჯგუფში რჩებიან ის ადამიანები, ვინც ასაკთან ერთად წონაში მატებას განაგრძობს. ექსპერიმენტისას, რომელიც 18 წელიწადს გრძელდებოდა, სწავლულები 10 ათას ჯანმრთელ ადამიანს აკვირდებოდნენ. ამასთან, რეგულარულად ზომავდნენ მათი სხეულის მასის ინდექსს. ასე, ექსპერიმენტში მონაწილეთა 7,2%-ში აღინიშნა სერიოზული დაავადებები და სიკვდილის შემთხვევებიც, რაც გამოწვეული იყო როგორც სიმსუქნით, ასევე წონაში თანდათან მატებით. იმ მონაწილეებში კი, რომლებიც ცდილობდნენ, ზედმეტი, მაგრამ სტაბილური წონა შეენარჩუნებინათ, გაცილებით ნაკლები იყო როგორც ავადობის, ასევე სიკვდილიანობის მაჩვენებელიც.

რესტორანი მუყაოსგან გააკეთეს

ტაივანის ერთ-ერთ ქალაქში, ტაიჩუნგში მეტად უჩვეულო რესტორანია. აქ ყველაფერი — დეკორაცია, მაგიდები, სკამები, ჭურჭელიც კი მუყაოსგანაა დამზადებული. შეკვეთილი კერძებიც ასევე მუყაოს ქვაბებში კეთდება. იდეის მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს აჩვენოს, მუყაოს გამოყენების უამრავი ხერხი არსებობს. ამ უცნაური რესტორნის შექმნის იდეის ავტორი და მფლობელი ჰუანგ ფინგ-ლიანგია. ის 4 წლის განმავლობაში აქტიურად სწავლობდა ქაღალდის წარმოების ინდუსტრიას. უამრავი ადამიანისგან მსმენია, რომ ქაღალდს მხოლოდ ხატვისთვის თუ გამოიყენებ. მე კი მინდოდა, საწინააღმდეგო დამემტკიცებინა და ეს გამომივიდა კიდეც, თუმცა თავიდან იდეა ბევრს სასაცილოდ არ ეყო, — აცხადებს რესტორნის მფლობელი. მუყაოს რესტორნის სანახავად და კერძების დასაგემოვნებლად ქალაქში უამრავი ტურისტი ჩადის. ეს ადგილი აქაურებისთვისაც ღირსშესანიშნაობად იქცა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	3	8	6	9	5	4	2	1
4	6	2	8	1	7	9	5	3
5	1	9	4	3	2	8	6	7
3	5	1	9	2	6	7	4	8
8	2	7	5	4	3	6	1	9
9	4	6	7	8	1	5	3	2
1	9	5	3	7	4	2	8	6
2	8	4	1	6	9	3	7	5
6	7	3	2	5	8	1	9	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	5	9	4	2	7	1	6	3
7	6	3	1	5	9	4	2	8
4	2	1	3	6	8	7	5	9
1	9	8	7	4	6	5	3	2
5	7	6	2	3	1	9	8	4
3	4	2	9	8	5	6	7	1
6	3	7	8	1	4	2	9	5
2	1	5	6	9	3	8	4	7
9	8	4	5	7	2	3	1	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	3	1	9	8	7	2	4
1	4	2	3	7	6	5	9	8
8	7	9	5	4	2	6	3	1
5	9	1	6	3	7	8	4	2
2	8	6	4	5	1	9	7	3
4	3	7	8	2	9	1	6	5
3	6	5	9	1	4	2	8	7
9	2	4	7	8	5	3	1	6
7	1	8	2	6	3	4	5	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	1	3	9	2	8	7	6	5
5	6	8	1	7	4	3	2	9
9	2	7	6	5	3	4	1	8
3	9	1	8	6	7	2	5	4
8	7	4	5	3	2	1	9	6
2	5	6	4	9	1	8	3	7
1	8	9	3	4	6	5	7	2
7	4	5	2	1	9	6	8	3
6	3	2	7	8	5	9	4	1

მე-10 გვერდი: 1. მეტეოროლოგია; 2. სტრატეგია; 3. ელია; 4. სვია; 5. ანძა; 6. თერმომეტრია; 7. ოხრა; 8. ოქსიდი; 9. ინერცია; 10. სლოვენია; 11. მიტო; 12. იაკი; 13. ნიკელი; 14. პროსპექტი; 15. ემპირია; 16. ისლი; 17. „რამაიანა“; 18. ედიცია; 19. ტიტიკაკა; 20. ისევ; 21. ალანტოისი; 22. ალაო; 23. ყაზარმა; 24. კუმისი; 25. ლაყე; 26. აგა; 27. ელისო; 28. უზი; 29. ქედი; 30. ალი; 31. ოსტეომიელიტი; 32. ტოკატა; 33. ფლორა; 34. ტამტამი; 35. რანდა; 36. ობამა; 37. ლესკო; 38. აარე; 39. „ქვინი“; 40. კლიო; 41. ბლოკადა; 42. ევკომია; 43. აამაო; 44. სია; 45. სოლ; 46. სიმი; 47. რენტა; 48. საკე; 49. მაია; 50. ნისლი; 51. მესია; 52. როტი; 53. კიი; 54. იეტი; 55. მზია; 56. ნასა; 57. აბრისი; 58. ობი; 59. სადაფი; 60. აინი; 61. რიზე; 62. იონჯა.

მე-12 გვერდი: 1. ჰუმანიზმი; 2. ბალადა; 3. ჰორიზონტი; 4. მოჰიკანები; 5. ბატერფლაი; 6. ლიტერატურა; 7. დამა; 8. ბზიკი; 9. ილიამნა; 10. მოჰერი; 11. ტატამი; 12. ოდისევსი; 13. ოქტავა; 14. ამინ; 15. ქედა; 16. ოლარი; 17. „რერო“; 18. ინინი; 19. ალსუ; 20. ტაეპი; 21. ლატი; 22. ავალონი; 23. მზე; 24. ექსკურსია; 25. ერგი; 26. სიმბა; 27. ნინევია; 28. მაკ-კინლი; 29. გლედიჩია; 30. სუფლე; 31. ნაპირი; 32. ლავა; 33. კესანე; 34. ლავრა; 35. რქა; 36. ტრიადა; 37. ბია; 38. სპილო; 39. კრუიზი; 40. ნაზიბროლა; 41. პერი; 42. ტაეკვონდო; 43. ელოდა; 44. მაორი; 45. კამეჩი; 46. საბუე; 47. ფრანტი; 48. ნაი; 49. სიბილა; 50. ილორი; 51. „ნერგები“; 52. ალპაკა; 53. იშიასი; 54. არილი; 55. ელჩი; 56. ხაიში; 57. არმაზი; 58. არაკი; 59. ახო; 60. რადონი; 61. ერა; 62. ტაო; 63. ნუში; 64. ალან; 65. ალა; 66. ჯინი; 67. ლაშარი; 68. ინტონაცია; 69. აზუ; 70. პა; 71. ფრი; 72. ნირი; 73. ლუნა; 74. ალ; 75. აზია; 76. ლიანა; 77. აშდოდი; 78. პეპია; 79. დო; 80. ოინი; 81. ლუი; 82. ბანზაი.

მეცნიერებმა უსადენო კაგმირის გიანი დაამტკიცეს

მედიკოსები მოგვიწოდებენ, ყურადღებით მოვეკიდოთ უსადენო ტექნოლოგიების გამოყენებას. ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რომელსაც უსადენო მოწყობილობებისგან გამოსხივება იწვევს, შესაძლოა, სხვადასხვა დაავადების, მათ შორის ონკოლოგიურის, განვითარების მიზეზი გახდეს. ახალი გამოკვლევის შედეგები სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა, სადაც ლაპარაკია, ე.წ. დამჟანგავ სტრესზე. მკვლევარების თქმით, ელექტრომაგნიტური გამოსხივებით აიხსნება არა მხოლოდ სიმსივნის განვითარება, არამედ სხვა პრობლემებიც, მათ შორის თავის ტკივილი, ქრონიკული დაღლილობა და კანის გაღიზიანებაც კი. სტატიაში ნათქვამია, რომ ჟანგბადის რეაქტიული ფორმები ხშირად წარმოიქნება უჯრედებში აგრესიული გარემოს გამო, თუმცა, ეს შეიძლება „ჩვეულებრივი უსადენო გამოსხივებითაც“ იყოს გამოწვეული.

1. ალპიური ყვავილი
2. ვისიმე ნამდვილი სახელი, ფსევდონიმად გამოყენებული
3. მექანიკური მუშაობის ერთეული
4. გარკვეულ გეოგრაფიულ არეში გავრცელ. მცენარე
5. ბადმინტონის სათამაშო „ბურთი“
6. ბიბლიური ურჩხული
7. ჩრდილო-გერმანული ტომები
8. უუფლებო ადამიანი
9. მზის სისტემის ჯუჯა პლანეტა
10. შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო
11. ტბა რუსეთის ევროპულ ნაწილში
12. რომეოს და ჯულიეტას ქალაქი
13. რენესანსის ეპოქის იტალიელი სკულპტორი
14. ეკვადორის დედაქალაქი
15. ცხოველთა მეფე
16. ბანგლადეშის დედაქალაქი
17. საბერძნეთის ადმინისტრაც.-ტერიტორიული ერთეული
18. მუსიკალ. ბგერის გრაფიკული ნიშანი
19. მოდუღებული პომიდვრის წვენი
20. გარმონის ტიპის საკრავი
21. ვაზების მწკრივი ვენახში
22. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
23. ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი
24. მოკლედ აჭრილი ვაზის წყვილმტევნიანი რქა
25. ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი
26. მაგიურ-რიძალის მქონე ნივთი
27. ქართველთა წმინდანი ქალი
28. აშშ-ის ექსმსახიობი პრეზიდენტი
29. ნარკოტიკული ნივთიერება
30. სანთებელების მწარმოებელი ამერ. ფირმა
31. დეკორატიული მარადმწვანე ბუჩქი
32. საქონლის „სუფთა“ წონა
33. მითოლოგიური ამირანის ერთ-ერთი ძმა
34. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
35. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
36. იმპატენციის სამკურნალო წამალი
37. დაბალი და ფართო დივანი
38. დიდი სასაფლაო ანტიკურ ქალაქებში
39. უზარმაზარი ქანდაკება
40. ფრანგი მწერალი ჟორჟ ...
41. ლიმონის მსგავსი ციტრუსი
42. ჰოლივუდის მსახიობი მეგ ...
43. ძვირფასი სარეწაო თევზი
44. უნგრელის თვითსახელწოდება
45. კაუჩუკის ხე
46. ქართული ხალხური სიმღერა
47. პარკოსანი მცენარე
48. მუსიკალური გამის IV ნოტი
49. მდინარე ქუთაისში
50. წინასწარი განცხადება
51. სამგზავრო ჯურჯელი წყლისათვის
52. სახოტბო ლექსი
53. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
54. ირანის შაჰის ბრძანებულება
55. გეიშას მოწაფე
56. კინოფილმში ჩართული კომიკური ტრიუკი
57. ბუბას კინოროლი „ვერის უბნის მელოდიებში“
58. უკრაინელი მომღერალი ქალი
59. მოდაზე ჩაცმული მამაკაცი
60. ერთიანი კამათელზე
61. თოვლის კაცი
62. მდინარე იტალიაში
63. ევროს წინამორბედი
64. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
65. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
66. კუკარაჩას ცოლის სახელი
67. სრული უწესრიგობა
68. ლეგენდარული მოკრივე კასიუს ...
69. ფუტკრის „პური“
70. თხელი საფლობი ტალახი
71. ოთახის დეკორატიული ყვავილი
72. მწერალი ... ტოლსტოი
73. სამხედრო-საზღვაო ალამი
74. ღვთისმშობელის დედა
75. თაგვის „ბინა“
76. მდინარე ტემზის შენაკადი
77. გიორგი საკაძის მშობლიური სოფელი
78. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული
79. შიშველი სხეული ფერწერაში
80. მზის საგალობელი რაჭაში
81. ტიბეტური ხარი
82. სარწყავად გაჭრილი ატარა არხი
83. იაპონიის საერთაშორისო აეროპორტი
84. ნესტანის მიჯნური
85. სანელებელი მცენარე
86. შხამიანი მათრობელა ბუჩქი

სამსახურში რომ არ წასულიყო, ფეხი მოიჭრა

ავსტრიელ მამაკაცს, რომელიც დროებით უმუშევარი იყო, იმდენად არ უნდოდა მუშაობის დაწყება, რომ ფეხის ტერფი მოიხერხა, შრომის ბირჟას ის შრომისუუნაროთა სიაში რომ შეეტანა. 56 წლის მამაკაცმა ეს უგუნური ქმედება ბირჟაზე გამოცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაიდინა, სადაც მისი ჯანმრთელობა უნდა შეემოწმებინათ. მას სახლში სახელოსნო ჰქონდა და ელექტროხერხიც მოეპოვებოდა, რომლითაც მოიჭრა ტერფი. კაცს ძლიერი სისხლდენა დაეწყო, მაგრამ მაინც მიხოხდა ელექტროღუმელამდე და მოჭრილი ფეხი შიგ შეაგდო. ავტოფარეხში ჩავიდა და სასწრაფოს იქიდან დაურეკა. ექიმებმა სამწუხაროდ ვეღარ მოახერხეს მოჭრილი კიდურის მიკერება. ახლა მამაკაცს, მუშაობის ნაცვლად, ქუჩაში მათხოვრობა მოუწევს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.